საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 158 ხუთშაბათი, 12 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 158

დღიური

— საოკუპაციო ჯარმა ტანკების საშვალებით დაიპყრო რურის ოლქში ახალი სამრეწველო რაიონები.

— ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა საფრანგეთის დაუკითხავად, სრულიად დამოუკიდებლად გასცეს პასუხი გერმანიას უკანასკნელ ნოტაზე.

— საფრანგეთის მთავრობა აღიარებს საბჭოთა რუსეთის უფლებას ვრანგელის მიერ გატაცებულ გემებზე.

— ისპანიაში მთლიან მუშათა საერთო გაფიცვას მთავრობა ზომებს ღებულობს გაფიცვების ჩასაშლელად.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 13 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი: პრაქტიკული განხორციელება ამიერ-კავკასიაში რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილების ეროვნულ საკითხის შესახებ. პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისათვის და უჯრედების მიერ გამოყოფილ მომხსენებლებისათვის მოწყობილი იქნება სპეციალური საინსტრუქციო მოხსენება. როგორც მასალა ამ საკითხის შესახებ ისარგებლეთ; 1) მე-12 ყრილობის რეზოლიუციით ეროვნულ საკითხის შესახებ. 2) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით. მასალები მიიღეთ რაიკომებში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუბენი**

დღეს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია
საქ. კომ. პარ. ტფ. კომ. შენობაში

ტფილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

ტფ. კომ. მდივნის მაგიერი **რუბენი.**

ამიერ-კავკასიის კომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს

ამიერ-კავკასიის „26“ სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტის 4 წლიან კურსზე მიღების შესახებ

1. ამიერ-კავკასიის „26“ სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი არის უმაღლესი პარტიული სკოლა და მიზნათ ისახავს მოამზადოს ამიერ-კავკასიისათვის მხარესთან დაკავშირებული მუშათა და გლეხებისაგან, მარქსისტულათ განათლებული კვალიფიციური მუშაკები პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში. ამიტომ იმ ორგანიზაციებს, რომელნიც გამოგზავნიან სტუდენტებს, წინადადება ეძლევათ მაქსიმალური სერიოზულობით მოეკიდონ უნივერსიტეტში გასაგზავნთა არჩევას.

2. წინასწარ გასინჯვის მიზნისათვის გამოსაგზავნი სტუდენტები გატარებული უნდა იქნენ ადგილებზე ცეკას საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან არსებულ ცენტრალურ გამსინჯავ კომისიებში ცეკას საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილების, პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს, ცენტრალურ პარტიულ სკოლის და ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის წარმომადგენლების შემადგენლობით.

3. თავის მუშაობაში გამსინჯავი კომისიები ხელმძღვანელობენ მიღების შემდეგი პირობებით. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში მივლინებული უნდა იქნენ ამხანაგები:

ა) უმთავრესათ მუშები და გლეხები, რომელთაც აქვთ პარტიული, საბჭოთა ან პროფესიონალური პრაქტიკული მუშაობის სტაჟი და აგრეთვე საწარმოო სტაჟი და ისეთები, რომელთაც ნიჭი გამოიჩინეს თეორიულ მეცადინეობაში.

ბ) პარტიული ამხანაგები არა ნაკლებ 19 წლისა და არა უმეტეს 35 წლისა, რომელთაც თავი გამოიჩინეს კომუნიზმისადმი ერთგულებაში და აქვთ პარტიული სტაჟი არა ნაკლებ 2 წლისა, ანდა რომელთაც აქვთ 1 წლის პარტიული სტაჟი და ახალგაზრდათა კომკავშირის სტაჟი არა ნაკლებ 2 წლისა—პარტიაში შესვლამდი, ანდა ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები, რომელთაც აქვთ სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა და არალეგალურად უმუშავნიათ არა ნაკლებ 1 წლისა;

გ) რომელთაც აქვთ პოლიტიკური მომზადება II საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის კურსის ფარგლებში ანდა ცოდნა შემდეგი ნაშრომების ფარგლებში: ბოგდანოვი—„ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“, ბატურინი—„რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მიმოხილვა“, ბუბნოვი—„ძირითადი მომენტები რუსეთის კომუნისტურ პარტიის განვითარებაში“, ლენინი—„სახელმწიფო და რევოლიუცია“, „რ. კ. პ. მე-12 ყრილობის მოხსენებები და რეზოლიუციები“;

დ) შემოსულთათვის საჭიროა წერა-კითხვის საკმაო ცოდნა მშობლიურსა და რუსულ ენებზე, სახელდობრ ჩქარი წაკითხვა, თავის აზრების წერილობით გამოთქმა და ყველა არითმეტიკული მოქმედებების წარმოება მთლიან რიცხვებზე.

შენიშვნა: მუშები და გლეხები, რომელნიც აკმაყოფილებენ მიღების სხვა დანარჩენ პირობებს, მაგრამ არა აქვთ საკმაო მომზადება მე-2 საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის კურსის ფარგლებში და აქვთ მომზადება 1-ლ საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის კურსის ფარგლებში ანდა რუსული წერა-კითხვის არა საკმარისად მცოდნენი, შეიძლება მიღებულ იქნენ ერთ წლიან კურსზე, მათი ძირითად კურსზე მიღებისათვის მოსამზადებლათ. ასეთი ამხანაგები არ უნდა შეადგენდენ თვითეულ ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილ სტუდენტების 1 მესამედზე მეტს.

4. მივლინებულები ჩაირიცხებიან სტუდენტებათ მისაღებ გამოცდებისა და საექიმო გასინჯვის შემდეგ. ისინი, ვისაც დიდი ხანი არ არის, რაც მოუვლიათ მძიმე ავადმყოფობა, ძლიერ გამხდრები და მეტად სისხლნაკლულები, ჭლექიანები, ვენერიკები, ეპილეპტიკები და სხვანაირი ავადმყოფები, რომელთაც საშუალება არა აქვთ ნორმალურათ იმეცადინონ, უნივერსიტეტში მიღებული არ იქნებიან.

5. ვინც არ აკმაყოფილებს ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს ანდა ისინი, ვინც ორი კვირის გამოცდების შემდეგ უვარგისათ აღმოჩნდებიან თეორიულ ცოდნისათვის, უნივერსიტეტის მიერ უკანვე იქნებიან დაბრუნებული.

6. იმ ამხანაგებს, რომელნიც ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ დანიშნული არიან უნივერსიტეტში გამოსაგზავნათ, ეძლევათ ორი თვის შვებულება იმ დაწესებულებისა ან წარმოების ხარჯზე, სადაც მუშაობს კანდიდატი მისი მივლინების მომენტში. შვებულება ნაანგარიშევი უნდა იქნეს როგორც არდადეგები მისაღებ გამოცდებისათვის მოსამზადებლათ.

7. უნივერსიტეტის სტუდენტებს ექნებათ საერთო ბინა, მიეცემათ საწოლის თეთრეული, საჭირო მოწყობილება, წიგნები ბიბლიოთეკიდან მეცადინეობის დროისთვის, დაწესებული ულუფა და სტიპენდია და ისინი შრომის ვალდებულებას ეწევიან უნივერსიტეტის სამსახურისათვის.

8. ორგანიზაციებს ევალებათ: ა) მიიღონ თავის თავზე მივლინებულის სამგზავრო ხარჯები; ბ) მიიღონ თავის თავზე მივლინებულის ოჯახისათვის ზრუნვა, თანახმად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ გამოცემულ დებულებისა; 3) გამოუცხადოს მივლინებულს, რომ უნივერსიტეტი ღებულობს სტუდენტს უოჯახოთ და არავითარ ვალდებულებას არ იღებს თავის თავზე ბინა, სურსათი ან სამსახური უშოვოს სტუდენტის ოჯახს ტფილისში. გ) მივლინების მანდატთან დართული უნდა იქნეს დახურულ და დაბეჭდილ კონვერტში ორგანიზაციის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით: 1) არმატურის სია პარტკომის მიერ გაცემულ საგნებზე და ფულის ატესტატი; 2) მოკლე ცნობები სტუდენტის შესახებ, როგორც: წლოვანობა, განათლება, ეროვნება, სოციალური მდგომარეობა (ამ მუხლზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით), პროფესია, პარტიაში (და ახალგ. კომკავშირში) შესვლის დრო, თანამდებობები, რომელიც ეჭირა საბჭოთა და პარტიულ მუშაობაში 1917 წლიდან და სტუდენტის დახასიათება, როგორც პარტიულ მუშაკის; 3) დაკმაყოფილება, როდის და რამდენჯერ ისარგებლა მივლინებულმა შვებულებით; 4) მივლინებულის ხელწერილი იმაში, რომ მიღების პირობები მას გამოეცხადა. აღნიშნულ დოკუმენტების წარმოუდგენლად არავინ არ იქნება მიღებული.

შენიშვნა: ყველა მივლინებულმა ამას გარდა უნდა წარმოადგინონ აღრიცხვის ბილეთი, პირადი ბარათი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც უნდა ამტკიცებდეს მათ დამოკიდებულებას სამხედრო აღრიცხვასთან.

9. სტუდენტების მიღება სწარმოებს 15-დან 30 ენკენისთვემდე, აღნიშნულ ვადის შემდეგ ჩამოსულები მიღებულნი არ იქნებიან.

10. ყველა ჩამოსულები უნდა გამოცხადდენ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სამდივნოში (ტფილისი, ერმოლოვის ქუჩა № 6, დილის 9 საათიდან დღის 4 საათამდე).

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში მიღების განაწილება 1923—24 სასწავლო წლისათვის.

რ. კ. პ. ამ.-კავ. საოლქო კომიტეტი 20 კაცი. საქართ. კომპარტიის ცეკა 70 კაცი. სომხეთის კომპარტიის ცეკა 30 კაცი. აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკა 50 კაცი. სრულ. რუს. პროფკავ. ცენ. საბჭ. ამ-კავ. ბიურო 4 კაცი. აზერბეიჯანის პროფკავ. საბჭო 12 კაცი. საქართვ. პროფკავშირთა საბჭო 8 კაცი. სომხეთის პროფკავშირთა საბჭო—6 კაცი. სულ 200 კაცი.

განაწილება ოლქებში და მაზრებში ხდება სათანადო ცენტრალურ კომიტეტის მიერ და ქვეყნდება არა უგვიანეს 20 ივლისისა.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ბ. მიხაილოვი.**

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის რექტორი **მ. ოკუჯავა.**

რუსეთ-საფრანგეთის დამოკიდებულება

ამას წინედ მოსკოვში ჩამოვიდა, რა თქმა უნდა, საფრანგეთის მთავრობის დასტურით, ამ ქვეყნის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც, მისივე განცხადებით, მიზნად აქვს დასახული საფრანგეთ-რუსეთ შორის ფართე და მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენა და გაჩაღება, ორივე ქვეყნის დაახლოვება და ნიადაგის შემზადება საბჭოთა რუსეთის ოფიციალური ცნობისათვის საფრანგეთის მთავრობის მიერ.

ამ დელეგაციის ჩამოსვლა მოხდა სწორედ ინგლის-რუსეთის კონფლიქტის დროს, რაც თითქო იმ გარემოებას უსვამდა ხაზს, რომ პარიზის კაბინეტი წინააღმდეგია კერზონის პოლიტიკისა რუსეთის მიმართ, თითქო საფრანგეთის მთავრობას სურს ერთგვარი ნორმალური დამოკიდებულების აღდგენა რუსეთთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელს კარგად შეხვდნენ საფრანგეთში, რომლის მთავრობამ ხელი შეუწყო მით, იმპერიალისტურ ომის დროიდან იქ დარჩენილ, რუსეთის სამხედრო ტყვეების უკან, სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

ეს ფაქტები ისე შეიძლებოდა გაგვეგო, რომ ხდება ერთგვარი გარდატეხა საფრანგეთის მთავრობის დამოკიდებულებაში დიდი საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ; რომ პუანკარეს მთავრობა დარწმუნდა თავის ინტერვენციულ პოლიტიკის უაზრობაში, მისი განხორციელების შეუძლებლობაში; რომ ის იგდებს თავის წინანდელ „ცოდვებს“, ჩადენილთ რუსეთის ხალხის წინააღმდეგ და ხელს იღებს ძველ პრეტენზიებზე.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ზოგიერთ ისეთ ნაბიჯებს სდგამს, რომელნიც ვერ შეუწყობენ ხელს რუსეთ-საფრანგეთ შორის ასე თუ ისე ნორმალურ დამოკიდებულების განახლებას. ეს ნაბიჯები მოწმობენ, რომ პუანკარე კვლავ ატარებს ზრახვებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა დამონებისას.

ამაში მოულოდნელი არაფერია. საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელსაც დიდი კაპიტალი აქვს დაკარგული რუსეთში რევოლიუციის წყალობით, ვერასოდეს ვერ შეურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას, ის მუდამ ეცდება ამ თანხის ანაზღაურებას, რუსეთის ისევ საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევას და ამ მიზნით მუშურ-გლეხური წყობილების დამხობას.

და თუ ის ხანდახან იჩენს „კეთილ მეგობრულ“ დამოკიდებულებას რუსეთთან, რის მაჩვენებელი ორი ფაქტი ზევით მოვიხსენიეთ, ეს აიხსნება საერთაშორისო მდგომარეობით, სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოების დაშინების ცდით, ან იმ განზრახვით, რომ, სანამ ხელსაყრელი პირობები არ დამდგარა საბჭოთა რესპუბლიკაზე შეიარაღებულ თავდასხმის განმეორებისათვის, ეკონომიური და „მშვიდობიანი“ გზითაც შეეცადოს მის დაპყრობას და ამ საქმეში არ ჩამორჩეს დანარჩენ ქვეყნებს.

არსებითად კი საფრანგეთის მთავრობას დღესაც მტრული პოზიცია უკავია რუსეთის ხალხის და მისი მთავრობის მიმართ.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია პუანკარეს ნოტა ამხ. ჩიჩერინისადმი და უკანასკნელის პასუხი ამ ნოტაზე.

საკითხი შეეხება რუსეთის იმ გემების ბედს, რომელნიც წასხმულია ვრანგელის მიერ და კარგა ხანია, რაც საფრანგეთის მთავრობის განკარგულებაში იმყოფებიან.

ამ გემების გამო ხანგრძლივი დიპლომატიური მიმოწერა წარმოებდა ორივე ქვეყნის მთავრობებ შორის.

საფრანგეთს განზრახული ჰქონდა მათი გაყიდვა, ხოლო საბჭოთა მთავრობა ამაზე პროტესტს აცხადებდა და მოითხოვდა მათი დაბრუნებას მისთვის, როგორც კანონიერ პატრონისათვის.

საინტერესოა პუანკარეს მოსაზრება, თუ რატომ არ უბრუნებს ის ამ გემებს საბჭოთა მთავრობას. ის იძულებულია აღიაროს, რომ ეს გემები შეადგენენ რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებას, და მას უნდა დაუბრუნდეს. მაგრამ, პუანკარეს აზრით, ამ გემების დაბრუნების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელიც იქნება რუსეთის სახელმწიფოს „ნორმალური“ წარმომადგენელი, ხოლო რუსეთის დღევანდელი მთავრობა პუანკარეს არ მიაჩნია ასეთად, რამდენადაც ის პასუხისმგებლობას არ კისრულობს რუსეთის წინანდელი მთავრობების მიერ მიღებულ საერთაშორისო ვალდებულებებისათვის.

მაგრამ ეს ცოტაა: პუანკარეს განცხადებით, საფრანგეთის მთავრობას ჰქონდა უფლება არ დაებრუნებია ეს გემები რუსეთის „ნორმალურ“ მთავრობისათვისაც, ვალების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით.

ასეთია პუანკარეს „არგუმენტაცია“.

ამგვარად, პუანკარემ ისევ გადმოალაგა ობმოკიდებულ არქივიდან ძველი თამასუქები, ისევ წამოაყენა ვალების საკითხი.

ამხ. ჩიჩერინი სამართლიანად უპასუხებს ამ ჯიუტ „კრედიტორს“, რომ, როგორც გენუას კონფერენციაზე განაცხადა რუსეთის მთავრობამ, ის მზად არის გადაიხადოს ომის წინანდელი ვალები, თუ მეორე მხარის მიერ ცნობილი იქნება მოთხოვნები იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიაყენა რუსეთის ინტერვენციამ და ბლოკადამ. აქ უნდა იქნას სავსებით დაცული ურთ-ერთი ანაზღაურების პრინციპი.

მაგრამ საფრანგეთის და სხვა მთავრობებმა ლაპარაკიც არ მოისურვეს ასეთი წინადადების შესახებ, და სწორედ მათი წყალობით არ მოხდა გენუას კონფერენციაზე შეთანხმება ამ საკითხის გამო.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა ამ გზას ახლაც ვერ გადაუხვევს და საფრანგეთის თუ სხვა სახელმწიფოს ცალ მხრივ და უსაფუძვლო მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

უფრო კურიოზული ხასიათისაა მეორე „საბუთი“. პუანკარეს მიერ წამოყენებული ახალი პრინციპი, როგორც ამბობს ამხ. ჩიჩერინი, სრულიად მოსპობდა რუსეთ-საფრანგეთ შორის ყოველგვარი ვაჭრობის შესაძლებლობას, ვინაიდან ამით საფრანგეთის მთავრობა ითვისებს უფლებას კონფისკაცია უყოს რუსეთის იქ მოხვედრილ ქონებას.

ამ პრინციპის გატარება მოსპობდა სავაჭრო დამოკიდებულებას ყველა იმ ქვეყნებ შორის, რომელთაც ერთმანეთის ვალები მმართებთ. თუ ასე მოიქცეოდნენ კერძოდ ამერიკა და ინგლისი, რომლების ვალები მმართებს საფრანგეთს, და ისინიც მის გემებს თუ სხვა ქონებას ხელს დაადებდნენ, რას იტყოდა პუანკარე?

ასე ცინიკური და ისტორიაში უმაგალითოა საფრანგეთის მთავრობის „საბუთი“.

რაც შეეხება ლაპარაკს რუსეთის „ნორმალურ“ მთავრობაზე, გვგონია, დროა საფრანგეთის ბურჟუაზიამაც შეიგნოს, რამდენადაც ეს არა სასიამოვნო იყოს მისთვის, რომ რუსეთის ნამდვილი და ნორმალური მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს ქვეყნის მთელი მშრომელი ხალხი, და რომელსაც ერთს აქვს უფლება გამოვიდეს რუსეთის სახელით, არის საბჭოთა მთავრობა.

რამდენიც არ შეეცადოთ ასეთი თავისთავად მეტყველი ფაქტის უარყოფა, ის ბოლოს და ბოლოს იძულებულს გახდის ყველას ქედი მოიხარონ მის წინაშე, ანგარიში გაუწიონ მას.

თვით საფრანგეთის ინტერესები მოითხოვენ ამის რაც შეიძლება მალე შეგნებას და მის მიხედვით სათანადო ნაბიჯების გადადგმას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის გარიყული დარჩება რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან. სხვები დაიჭერენ მის ადგილს. საბჭოთა რესპუბლიკებთან ჩვენთვის მისაღებ ეკონომიურ ურთიერთობის დაჭერის მსურველნი დღეს ბლომად არიან. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

ჩვენი რესპუბლიკების მშრომელებს კი პუანკარეს უკანასკნელი ნაბიჯი ერთხელ კიდევ ახსენებს, რომ მსოფლიო ბურჟუაზიას არ აუღია ხელი მათი დამონების განზრახვაზე. ისინი ყოველი შემთხვევისათვის მზად უნდა იყვნენ.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში

ამ ჟამად მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით დიდი მუშაობა სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლად.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ახალი სისტემაა საბჭოთა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკაში, რომელიც უფრო შეეფერის ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ დღევანდელ მდგომარეობას. სახელმწიფო ჩაბმულია აღმშენებლობითი მუშაობაში და მას აუარებელი ხარჯების გაღება სჭირდება აუცილებელ, გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შეუძლებელია ამ ხარჯების დაფარვა მხოლოდ სახელმწიფო ქაღალდების გამოშვებით, განუსაზღვრელი ემისიით.

ემისია იწვევს ბონების კურსის მერყეობას, მის თანდათანობითი დაცემას, და ეს გარემოება კი იწვევს საბაზრო პირობების არევ-დარევას, სპეკულიაციისათვის ნიადაგის შექმნას. ეს კი მეტად საზარალოა საზოგადოდ მშრომელთა ინტერესებისთვის და, რასაკვირველია, გლეხობისთვისაც, რომლიდანაც განზრახულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღება. სახელმწიფოს ხარჯები, მეტ წილად მაინც თუ მთლად არა, დაფარულ უნდა იქნეს სხვადასხვაგვარი შემოსავლით და გადასახადებით. მარტო ემისიას რომ დავემყაროთ, ეს კიდევ უფრო გაართულებს ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, რომლის აღორძინებაში უაღრესად დაინტერესებულია თვით მშრომელთა ფართო მასები. ამნაირად საგადასახადო პოლიტიკის წარმოება სახელმწიფოებრივი აუცილებლობით არის გამოწვეული.

ამ პოლიტიკის წარმოების დროს მხედველობაში აუცილებლად მიღებულ უნდა იქნას მუშების და გლეხების იმ კავშირის განმტკიცება, რომელზედაც დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლების არსებობა. გადასახადების განაკვეთები შეფარდებულ უნდა იქნას გადამხდელთა უნარიანობასთან და სხვა და სხვა რაიონების მოსავლიანობასთან. მთავრობის დეკრეტში ყველა ეს მოსაზრებები გათვალისწინებულია და საერთოდ იგი მეტად სამართლიან პრინციპზეა აგებული.

მაგრამ არ კმარა მარტო კარგი დეკრეტი, სამართლიანობის მხოლოდ პრინციპიალური აღიარება, დაცვა; საჭიროა პრაქტიკაშიც, კამპანიის ფაქტიურ მსვლელობაშიც ამ პრინციპის ბოლომდე გატარება უმთავრესია ადგილებზე გადასახადის განაკვეთების სამართლიანად, შეძლებისდა მიხედვით განაწილება და რამდენადაც შესაძლებელია მისი უმტკივნეულოდ აკრეფა. მთავარი სამუშაო ადგილებზე, სოფლებშია გასაკეთებელი, რომ ღარიბ გლეხობის ინტერესები სავსებით იქნეს დაცული და არავითარ ჩივილს უსამართლობის შესახებ ადგილი არ იქნეს. ამისთვის კი საჭიროა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული, მცოდნე და მომზადებული მუშაკთა კადრის შექმნა პროვინციაში და მათი მოქმედების სახელმწიფოს სასტიკი კონტროლის ქვეშ გატარება.

საქართველოს გლეხობა კმაყოფილებით შეხვდა გადასახადების გაერთიანებას, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებას. გადასახადებს ადგილობრივ ამკრეფთა უტაქტიკო და მოუფიქრებელ მოქმედებას, მტრულ განწყობილებას გლეხობასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან, შეუძლია ბევრი არევ-დარევა და უკმაყოფილება დაბადოს სოფლებში. ამიტომ ცენტრის მიერ მიღებულია ზომები, რომ ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნეს. გადასახადების განაწილებას ცენტრი ახდენს მაზრებზე და ადგილობრივი აღმასკომები მის შემდეგ განაწილებას ახდენენ რაიონებსა დ სოფლებზე. რასაკვირველია მაზრის ფარგლებში მოსავალის ხარისხი, მისი რაოდენობა ერთი არ იქნება ყველგან, იქნება მნიშვნელოვანი განსხვავებები თემებსა დ სოფლებში. საჭიროა აქაც დაცულ იქნას სამართლიანობის პრინციპი და მოხდეს გადახდის უნარიანობასთან შეფარდებული მისი განაწილება.

გადასახადის რაოდენობა გამოიანგარიშება ხორბლეულობის ღირებულებით. სულ საქართველოში განზრახულია 3.100000 ფუთი ხორბლეულის აკრეფა, რომელიც ფულად უდრის დაახლოებით 1.800.000 მანეთს ოქროთი. ამ გადასახადის თითქმის ნახევარი დატოვებულ იქნება ადგილობრივ ხარჯების დასაფარავად. გადასახადების აკრეფა იწარმოებს უმთავრესად ფულად და, როგორც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ სესიის სხდომებზე იყო აღნიშნული, გაცილებით უმჯობესია მხოლოდ ფულადი სისტემის შემოღება, მაგრამ შეიძლება ზოგიერთ ადგილებში ეს მოუხერხებელი იყოს და იქ დაშვებულია გადასახადის ნატურით, ხორბლეულით გადახდა. რაიონებში, რომლებიც გამოცხადებულია ფულად რაიონებათ, გადასახადი მხოლოდ ფულით აიკრიფება და ხორბლეულით გადასახადის აკრეფა იქ არ მოხდება.

პირიქით იქ, სადაც დაშვებულ იქნება გადასახადის ხორბლეულით აკრეფა, გადამხდელთ შეუძლიათ ხორბლეულის ნაცვლად გადასახადი ფულად გაიღონ. ნატურალური გადასახადი აღებულ იქნება მხოლოდ მარცვლეულით, როგორიცაა: ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი და ბრინჯი. გადასახადი სხვა სასოფლო ნაწარმოებით არ მიიღება განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

გადასახადის აკრეფა პირველად განზრახულია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მოსავალი გაცილებით ადრე მოდის, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. განზრახულია გადასახადის ორ ვადაში აღება, პირველად ნახევარის და შემდეგ დანარჩენის.

გაზეთებში ყოველდღე იბეჭდება ცნობები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ, აგრეთვე განკარგულებანი და განმარტებანი ცენტრიდან. ყველაფერი მოწმობს, რომ წინასწარი მუშაობა, როგორიცაა მოსავლიანობის ხარისხების გამორკვევა, სასოფლო სიების შედგენა და გადასახადის განაწილება, წარმატებით მიმდინარეობს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მშრომელი გლეხობა სრული შეგნებით შეხვდება გადასახადის აკრეფას, ხელს შეუწყობს მისი 100 პროცენტით მოგროვებას, რაც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მისცემს საშუალებას მოაწესრიგოს სახელმწიფო ბიუჯეტი, აღადგინოს წონასწორობა სახელმწიფოს გასავალ შემოსავალს შორის. ამით შესაძლებელი გახდება ფულის კურსის განმტკიცება, სავალიუტო ვაკხანალიის და სპეკულიაციის მოსპობა, რითაც დიდათ მოგებული დარჩება როგორც სახელმწიფო, ისე თვით სასოფლო-მეურნეობა და მშრომელი გლეხობა.

ი. ზ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

რუსეთი და საფრანგეთი

რუსეთის გემების საკითხი

პუანკარეს ნოტა.

მოსკოვი. 10 ივლისი. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახ. კომისარის სახელზე გამოგზავნილ ნოტაში პუანკარე აღნიშნავს, რომ **საფრანგეთის მთავრობა ეთანხმება საბჭოთა მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ ბიზერტაში დაკავებული გემები, რომელნიც ვრანგელმა წაიყვანა, შეადგენენ საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრებას და მას უნდა დაუბრუნდეს,** მაგრამ ამ გემების დაბრუნების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას, რომელიც არის რუსეთის „ნორმალური“ წარმომადგენელი. საბჭოთა მთავრობა, საფრანგეთის მთავრობის აზრით, ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ის მოითხოვს იმ საერთაშორისო ვალდებულებათაგან განთავისუფლებას, რომლებიც მიიღო ძველმა მთავრობამ, რომლის მემკვიდრეთაც სთვლის თავის თავს საბჭოთა მთავრობა. შემდეგ პუანკარე აღნიშნავს, რომ რუსეთში „ნორმალური“ მთავრობაც რომ ყოფილიყო, საფრანგეთის მთავრობას უფლება ჰქონდა დაეკავებია გემები ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად.

ამხ. ჩიჩერინის პასუხი.

საპასუხო ნოტაში ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ პუანკარეს განცხადებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთში, რადგან იგი არის ნიშანი საფრანგეთის არა მეგობრული განწყობილებისა რუსეთის ხალხისადმი. როგორიც არ უნდა იყოს საფრანგეთის დამოკიდებულება რუსეთთან, რუსეთის მოღალატეების მიერ გაყიდულ რუსეთის ფლოტის ხელში ჩაგდება და მისი რუსეთისთვის დაბრუნებაზე უარის თქმა სხვანაირად არ შეიძლება გაგებულ იქნას რუსეთის ხალხის მიერ, თუ არა როგორც შეურაცხმყოფი და მტრული აქტი. საფრანგეთის ნოტაში გატარებული პრინციპები გამოიწვევდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას, რადგან საფრანგეთის წინააღმდეგ ყველა დანარჩენ ქვეყნებისა იტოვებს უფლებას კონფისკაციის წესით წაიღოს რუსეთის ქონება, რომელიც საფრანგეთში აღმოჩნდა. რომ ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს საფრანგეთის ვალის უზრუნველსაყოფად დაეკავებიათ საფრანგეთის გემები, რომლებიც მათ ნავთსადგურებში მოხვდებოდენ, საფრანგეთის მთავრობა ხომ ამ ფაქტს გულგრილად ვერ შეხვდებოდა.

აღებულ სესხის გადახდაზე უარის თქმის შესახებ ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ გენუას კონფერენციაზე რუსეთის მთავრობა თანახმა იყო გადაეხადა ომამდე აღებული ვალები იმ შემთხვევაში, თუ დააკმაყოფილებდენ მის მოთხოვნილებას ინტერვენციის და ბლოკადისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ. **თუ გენუას კონფერენციაზე არ მოხდა შეთანხმება ამ საკითხში, ამაში დამნაშავეა საფრანგეთის და სხვა მთავრობები,** რომელთაც უარი განაცხადეს საბჭოთა რესპუბლიკების მოთხოვნილებების განხილვაზე.

რუსეთის მთავრობა განმეორებით აცხადებს თავის პროტესტს საფრანგეთის მიერ რუსეთის ფლოტის ნაწილის დაკავების და მესამე სახელმწიფოს მიერ მისი გაყიდვის შესახებ და უარყოფს ყოველგვარ მსჯელობას საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ, **იმ მთავრობის, რომელმაც მოიპოვა უფლება გამოსულიყო მთელი ქვეყნის სახელით უფრო მეტი ავტორიტეტით, ვიდრე საფრანგეთის მიერ ცნობილი მრავალი მთავრობები. რუსეთის მთავრობა მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს საფრანგეთის მთავრობას იმ შედეგებისათვის, რომელიც მოჰყვება ასეთ მოქმედებას ამ საკითხში.**

რურის საკითხი

ინგლისის პოზიცია.

ლონდონი. 9 ივლისი. „მანჩესტერ გარდიენის“ ცნობით, ინგლისის დიპლომატიურ წრეებში ელოდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ **საფრანგეთი არ შესცვლის თავის მოქმედების გეზს, ინგლისის მთავრობა გამოაქვეყნებს თავის შეხედულებას რეპარაციების საკითხში და აიღებს ინიციატივას კონფერენციის მოწვევის საქმეში ინგლისის, ამერიკის, იტალიის, ნეიტრალურ ქვეყნების და გერმანიის წარმომადგენლებიდან, რათა უკანასკნელთან მიაღწიონ შეთანხმებას გადასახადების შესახებ.**

საფრანგეთის ახალი გაკვეთილები.

ბერლინი. 9 ივლისი. საფრანგეთის პრესა აღშფოთებულია გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის უარით დიუსბურგის ამბების საჯაროთ მხილების შესახებ. **ფრანგული გაზეთები მიუთითებენ, რომ გერმანიის წინააღმდეგ იქნება მიღებული ახალი რეპრესიები.**

მილიერანის სიტყვა.

პარიზი. 9 ივლისი. მილიერანმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ფრანგები შევიდნენ რურში, რათა მიეღოთ ის გადასახადები, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნოდა და ამ მიმართულებით საფრანგეთი განაგრძობს თავის პოლიტიკას ბოლომდის. სამი წლის განმავლობაში საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა გამოეჩინა ზომიერება, მაგრამ ამან არავითარ დადებით შედეგამდე არ მიგვიყვანა. საფრანგეთს დარჩენია მხოლოდ იაროს რეპრესიების გზით. საფრანგეთი მოქმედობს ბელგიასთან სრული შეთანხმებით.

იტალია უკმაყოფილოა.

რომი. 9 ივლისი. **„სტამპა“ სწერს რომ პუანკარეს მოქმედება არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას და მოითხოვს, რომ იტალიის მთავრობა გაიმიჯნოს პუანკარეს პოლიტიკიდან და თავისი პოლიტიკა შეუთანხმოს ინგლისის პოლიტიკას.**

ოკუპანტების რეპრესიები.

ბერლინი. 9 ივლისი. **დიუსბურგში მდგომარეობა მეტათ გამწვავდა ოკუპანტები ესვრიან მცხოვრებთ, ვინც კი გამოჩნდება თავიანთ ბინებში ფანჯრებიდან საღამოს 8 საათის შემდეგ. ყველა ბანკები დახურულია. წარმოებები არ აძლევენ ჯამაგირებს მუშებს და მოსამსახურეებს.**

გერმანიის მთავრობას მწუხარება.

ბერლინი. 9 ივლისი. სპეციალური ცნობების თანახმად, გერმანიის მთავრობა სიტყვიერად გადასცემს საფრანგეთ-ბელგიის მთავრობებს მწუხარებას რურში სხვა და სხვა პირთა მიერ გაწეული საბოტაჟისათვის.

ამასთანავე ერთად გერმანია მიაქცევს მოკავშირეთა ყურადღებას საოკუპაციო ჯარების მოქმედებაზე რურში.

რეიხსკანცლერი და პაპის ნუნციოსი საბოტაჟის შესახებ.

ბერლინი. 9 ივლისი. გაზეთებში დაბეჭდილია მოკლე ცნობები პაპის ნუნციის და რეიხსკანცლერის შორის გამართულ მოლაპარაკების შესახებ. უკანასკნელმა განაცხადა, რომ საბოტაჟი არის ჩაგრულ ხალხთა ბუნებრივი თავდაცვაა, მაგრამ მთავრობა ეთანხმება ვატიკანს და გმობს ყოველგვარ დანაშაულებრივ ძალდატანებას.

გერმანიის პრესა იწონებს რეიხსკანცლერის პასუხს.

აღრჩობენ და ხმის ამოღების უფლებასაც არ აძლევენ.

ბერლინი. 9 ივლისი. საფრანგეთის და ბელგიის ელჩებმა ინახულეს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი და განაცხადეს თავიანთი მთავრობების სახელით, რომ **გერმანიის მთავრობაა პასუხისმგებელია საბოტაჟისათვის, რომელიც შედეგად მოჰყვა მის განკარგულებას პასიურ წინააღმდეგობის შესახებ. მათ მოსთხოვეს გერმანიის მთავრობას საბოტაჟის დაგმობა.**

გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ პასიური წინააღმდეგობა არის სტიქიურ სახალხო უბედურების შედეგი, და რომ ამ საკითხში მთავრობა თავის ძველ პოზიციაზე რჩება.

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპაცია ძლიერდება.

ბერლინი. 11 ივლისი. **ფრანგებმა ორშაბათს დაიკავეს ტისსენის წარმოებანი მიულგეიმში და გემას წარმოებანი დორტმუნდში.**

პროვოკატორები.

ბერლინი. 11 ივლისი. დიუსბურგიდან იტყობინებიან, რომ იქ დააპატიმრეს რამდენიმე ბელგიელი, რომელთაც ბრალი ედებათ გოხფელდის ხიდის აფეთქებაში. ბელგიის ხელისუფლება სცდილობს საიდუმლოთ შეინახოს ეს ფაქტი.

რომი. 11 ივლისი. ბელგიის გენერალმა უარი განაცხადა გერმანიის დეპუტაციის მიღებაზე, რომელშიაც შედიან ადმინისტრაციის, სასამართლოს და სასულიერო პირთა წარმომადგენლები; დეპუტაცია გამოცხადდა მწუხარების გამოსათქმელად დიუსბურგის მახლობლად მომხდარ აფეთქების გამო და ითხოვდა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

პრესის თავისუფლება.

რომი. 11 ივლისი. საოკუპაციო მთავრობამ აკრძალა გერმანიის გაზეთების გამოცემა და უფასოთ ურიგებს მცხოვრებთ ფრანგულ გაზეთებს.

საკონტრიბუციო საკითხი

უკანასკნელი მოწოდებით.

ბერლინი. 11 ივლისი. ხუთშაბათს ბალდვინი თემთა პალატაში და კერზონი ლორდთა პალატაში წარადგენენ განმარტებას ბრიტანეთის პოზიციის შესახებ საკონტრიბუციო საკითხში. ლონდონში ფიქრობენ, რომ მინისტრები თავს შეიკავებენ საფრანგეთის და ბელგიის მკვეთრ კრიტიკისაგან, მაგრამ მიმართავენ მათ უკანასკნელი მოწოდებით მიიღონ მონაწილეობა ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღდგენის საქმეში. გაზ. „პტი პარიზიენი“ დარწმუნებულია, რომ ბალდვინის კაბინეტი შეეცდება თავიდან აიშოროს ფრონტის უეცარი გამოცვლა, თუ რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უარს არ იტყვის ინგლისთან შეთანხმებაზე. ბელგიაში კათოლიკურ პარტიის მემარჯვენე ფრთა დაჟინებით მოითხოვს ინგლისთან მჭიდრო თანამშრომლობას.

პუანკარეს წინააღმდეგ.

ლონდონი. საფრანგეთის ოპოზიციონური პრესა უკანასკნელ ხანებში სასტიკად აკრიტიკებს პუანკარეს პოლიტიკას საკონტრიბუციო საკითხში.

საფრანგეთის გარეშე.

ბერლინი. 11 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბრიტანეთის კაბინეტმა, მიიღო რა მხედველობაში საფრანგეთის პოზიციის შეურიგებლობა, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნილება და გერმანიის მშფოთარე მდგომარეობა, გადასწყვიტა უპასუხოს გერმანიის მემორანდუმზე და მისცეს მას თანხმობა მოიწვიონ ექსპერტთა საერთაშორისო კომისია გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად.

პაპის დიპლომატიის მარცხი.

ბერლინი. 11 ივლისი. იმის გამო, რომ პარიზმა და ბრიუსელმა უარი სთქვეს ანგარიში გაუწიონ პაპის მორალურ ავტორიტეტს, ვატიკანმა უარი განაცხადა რურის საკითხში შემდეგი ზომების მიღებაზე.

ინგლისის პოზიცია.

ლონდონი. 9 ივლისი. ინგლისის ფართო წრეები ძალიან შეშფოთებული არიან სარეპარაციო საკითხის გამო. **გაზეთები გამოსთქვამენ აზრს, რომ თუ მოკავშირეები ვერ შეთანხმდენ, ინგლისი დამოუკიდებლად გასცემს პასუხს გერმანიას.**

ჯანმრთელობის მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა, რურის და სარეპარაციო საკითხები ეხება არა მარტო საფრანგეთს, ინგლისი დღევანდლამდე სცდილობდა არ დაერღვია საფრანგეთთან კარგი განწყობილება, მაგრამ დღეს ისეთი მომენტი დადგა, როდესაც ინგლისმა უნდა მიიღოს უფრო მტკიცე და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება.

რუმინეთის ამბები

მუშების დევნა.

ვენა. 8 ივლისი. რუმინეთის მრეწველთა კავშირმა დაუგზავნა ყველა წარმოებებს მუშების შავი სია, რომელთაც ლოკაუტი აქვთ გამოცხადებული შრომის ხელფასის გადიდების მოთხოვნილებისათვის. პოლიცია, **მწარმოებელთა ჩვენებით, აწარმოებს მუშების დატუსაღებას.**

რუმინეთის კომპარტიის საagitაციო კამპანია.

ვენა. 8 ივლისი. რუმინეთში სიძვირის ზრდის გამო, **რუმინეთის** კომპარტია, რომლის ინიციატივითაც 20 ივლისს შესდგება პროფკავშირების კონფერენცია სიძვირის საწინააღმდეგო ღონისძიებების გამოსამუშავებლად, აწყობს საagitაციო

კამპანიას შემდეგი ლოზუნგებით: **„შრომის ხელფასის გადიდება“, „ძირს ომი და ხარჯები სამხედრო შეიარაღებისათვის“, „საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისათვის კონტროლის გადაცემა წარმოებაზე“,** „პოლიტიკური ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს, მათი არსებობის უზრუნველყოფის მიზნისათვის“.

ბრატიანუს გამგზავრება.

ვენა. 8 ივლისი. რუმინეთის ოპოზიციონური პრესსა იტყობინება, რომ ბრატიანუს გამგზავრება პარიზსა და ლონდონში სესხის ხელშეკრულების დასადებათ სრული კრახით დამთავრდა.

ლოზანას კონფერენცია

ანგორა და საზავო ხელშეკრულება.

პარიზი. 11 ივლისი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ანგორის კომისართა საბჭომ, განიხილა რა ისმეტ ფაშას მოხსენება ლოზანაში მომხდარ მოლაპარაკების შესახებ, დაავალა მას ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას. ლოზანაში მიღებილ საფუძვლების თანახმად გამოქვეყნებული იქნება პროკლამაცია ოსმალეთის ხალხისადმი.

უკანასკნელი სხდომები.

პარიზი. 11 ივლისი. ექსპერტების მუშაობა, რომელიც ორშაბათს დაიწყო, განუწყვეტლივ სწარმოებს. კონფერენციის უკანასკნელ პლენარულ სხდომის მოსაწვევად მოელიან მხოლოდ ცნობას ანგორას მიერ მიღწეულ შეთანხმებათა ოფიციალურად მიღების შესახებ.

15 აგვისტომდე.

პარიზი. 11 ივლისი. სტამბოლის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება 15 აგვისტოს.

კიდევ ინსტრუქციები.

რომი. 11 ივლისი. მოკავშირეთა დელეგატები მოელიან საზავო ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლებში ინსტრუქციებს თავიანთ მთავრობებისაგან.

ამერიკის ფერმერების მუშათა პარტიის კონგრესი

ნიუ-იორკი. 9 ივლისი. ახალი გაერთიანებული პარტიის თავმჯდომარეთ არჩეულია ვილლიამ ბოუ, პროგრესიულ ფერმერების დელეგატი. პრეზიდიუმში შევიდა 5 კაცი, რომლებიც ჩამოშორდენ ძველი ფერმერების პარტიას.

ყრილობაზე ძველი ფერმერების პარტიის მომხრე სამოცმა დელეგატმა გაილაშქრა გაერთიანებულ პარტიაში შესვლის წინააღმდეგ, 23-მმა კი ხმა მისცა გაერთიანების სასარგებლოდ. უმცირესობის დიდი ნაწილი შეუერთდა გაერთიანებულ პარტიას. ფიქრობენ, რომ დანარჩენი დელეგატებიც ასე მოიქცევიან.

მუშათა პარტიის დელეგატები სავსებით კმაყოფილი არიან ყრილობის შედეგებით, განსაკუთრებით კი ფერმერების მუშათა პარტიის მოულოდნელი დახმარებით.

ახალი პარტიის ცენტრალური ორგანოები იქნებიან ჩიკაგოში.

ყრილობა დამთავრდა პარტიის დაყოფით. ძველი პარტიის ნაცვლად მოეწყო ახალი — გაერთიანებული პარტია, რომელსაც სათავეში უდგანან რევოლიუციონერი ბელადები. განხეთქილების მიზეზია: ყრილობის მიერ მუშათა პარტიის დელეგატებისაგან წარმოდგენილი საორგანიზაციო გეგმის მიღება **და ისეთი პროგრამის მიღება, რომელიც საშუალებას აძლევს მუშათა რევოლიუციონურ ჯგუფებს კავშირი იქონიონ კომინტერნთან.**

მუშათა პარტიის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიღების შემდეგ ფერმერების მუშათა პარტიის ძველმა ბელადებმა, უპარტიოთა ლიგის და კონსერვატორულ ტრედ-უნიონების დელეგატებმა ყრილობა დასტოვეს.

ამერიკის შრომის ფედერაციის ჩიკაგოს განყოფილების თავმჯდომარემ ფრიც პატრიკმა განაცხადა: „პროფკავშირების წევრები არ მოაწერენ ხელს გაერთიანებული პარტიის პლატფორმას, რადგან **ფოსტერის ახალი პარტიის მეთაურათ არჩევა ნათლად აშკარავებს მის კომუნისტურ ხასიათს“.**

ფერმერების მუშათა პარტიის უმცირესობა და უპარტიოთა ლიგის დელეგატები შეუერთდენ ახალ პარტიას. გაერთიანებული პარტიის პრეზიდიუმს განზრახვა აქვს ახლო ხანში მოიწვიოს კონფერენცია პრეზიდენტის კანდიდატის დასასახელებლათ.

ყრილობაზე ხელმძღვანელ როლს თამაშობდა მუშათა პარტია, რომლის მხარეზე იყო ყრილობაზე დამსწრე საზოგადოების სიმპატიები.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

საფრანგეთის დახმარებით.

ბერლინი, 10 ივლისი. მიუნხენში დამთავრდა პროფ. ფუქსისა და მუნკის პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფო ღალატში. საფრანგეთის ფინანსიური დახმარებით განზრახული იყო ბავარიის ტერიტორიის ნაწილის ჩამოშორება. ბრალდებულებს მიესაჯათ 12 წლის საკატორღო მუშაობა.

ინგლისი.

პრემიერების ჩამოსვლა.

ბერლინი, 10 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სამშაბათს ელიან მუსოლინის ჩამოსვლას. ოთხშაბათს ჩავა ლონდონში ჩეხო-სლოვაკიის პრემიერი ბენეში.

ამერიკა.

რუსეთის კონკურენციის ეშინიათ.

ნიუ-იორკი, 9 ივლისი. ნიუ-იორკიდან ეკონომიური ორგანო „ანალისტ“-ი სწერს, რომ რუსეთს უფრო ადრე შეუძლია გახდეს ხორბლის მსხვილი ექსპორტიორი, ვიდრე ამას მოელიან. ეს სერიოზული საფრთხეა ამერიკელ ფერმერებისათვის. ამერიკის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა ალფრედ დენისმა, რომელიც ამ ჟამად ბერლინში იმყოფება, გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მოსავალს ევროპაში კარგი პირი უჩანს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ კი რუსეთსა და რუმინეთში. **„მოსავლის შეგროვების შემდეგ, განაცხადა დენისმა, რუსეთს შეუძლია ჭვავის მსხვილი ექსპორტიორათ გახდეს“.**

ცილისწამებისათვის

ნიუ-იორკი, 9 ივლისი. ებრაელთ მწერალი ბერნშტეინი პასუხისგებაში აძლევს ჰენრიხ ფორდს ცილისწამებისათვის. ფორდის გაზეთმა, რომელიც ანტისემიტურ პროპაგანდას ეწევა, ბერნშტეინს ჯაშუში უწოდა, რომელიც თითქოს ებრაელ საერთაშორისო ბანკირების სამსახურში იყოს.

იტალია

თეთრგვარდიელები არ იხვეწებენ.

მოსკოვი, 9 ივლისი. იტალიის წითელი ჯვრის თავჯდომარემ უარი სთქვა ესაუბრა მეფის ყოფილ ელჩთან რომში, კრუპენსკისთან, რომელსაც უნდოდა მოეწყო რომში კონცერტი რუსეთის წითელი ჯვრის სახელით. თავჯდომარემ განაცხადა, რომ კრუპენსკი არ არის ნამდვილი წარმომადგენელი, რადგან იტალიაში არის რუსეთის წითელი ჯვრის სპეციალური რწმუნებული.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ერთიანი პასპორტი.

მოსკოვი. 10 ივლისი. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი უშვებს ერთიანი პასპორტის ახალ ფორმას საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ყველა მოქალაქეთათვის. პასპორტის ტექსტი დაბეჭდილი იქნება საბჭოთა რესპუბლიკების 6 ენაზე.

თევზი საზღვარ-გარეთ.

ნიკოლაევსკი ამურზე. 8 ივლისი. ნიკოლაევსკში მოვიდა იაპონიის ორი გემი საზღვარ-გარეთ თევზის გასაზიდავათ.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

მოსკოვი. 9 ივლისი. საბჭოთა ფედერაციის სხვა და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან კოოპერაციის საერთაშორისო დღის წარმატებით ჩატარების შესახებ. ყველგან შესდგა მუშებისა და მოსამსახურეების კრებები, გაკეთებული იყო მოხსენებები კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ. ადგილობრივი გაზეთები ამ დღეს კოოპერაციას ჰქონდა მიძღვნილი.

ირრიგაცია თურქესტანში.

ტაშკენტი. 8 ივლისი. თურქესტანში მუშაობა სწარმოებს ირრიგაციის აღსადგენათ. მოსახლეობა ყველგან შეგნებულათ ეპყრობა საირრიგაციო მუშაობას და სიამოვნებით ასრულებს ნატურალურ ვალდებულებებს.

შემნახველი კასები.

მოსკოვი. 9 ივლისი. ივნისის განმავლობაში გაიხსნა 10 ახალი შემნახველი კასა — ბრიანსკში, იაროსლავში, სარატოვში, ჩელიაბინსკში, ბახმუტში, პერმში, კავკავში, ლუგანსკში, იუზოვკაში და კოკანდში. ივნისის განმავლობაში შემნახველ კასებში შეტანილია 56 მილიარდი მანეთი, გამოტანილია 38 მილიარდი.

გლეხთა უმაღლესი სკოლა.

მოსკოვი, 9 ივლისი. პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო ამუშავებს გლეხთა უმაღლეს სკოლის პროგრამას. სკოლას მასიური საერთო განათლების ხასიათი ექნება სასოფლო მეურნეობისაკენ გადახრით.

აღმოსავლეთის პალატის მუშაობა.

მოსკოვი, 9 ივლისი. აღმოსავლეთის პალატამ შუამდგომლობა აღძრა ავღანისტანთან და დასავლეთ ჩინეთთან ვაჭრობისათვის ამ შეღავათების მინიჭების შესახებ, რომელნიც მიღებული იქნენ მონგოლეთის მიმართ. პალატა ხსნის თავის განყოფილებას პეტროგრადში.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

სამზადისი

მოსკოვი. 10 ივლისი. სრულიად რუსეთის გამოფენაზე იწყობა პავილიონი „სოფელი“, რომელიც გამოხატავს 9 ტიპიურ რაიონების თანამედროვე რუსეთის სოფელს, აგრეთვე — გაუმჯობესებულ სოფლის ტიპს სამი მთავარი რაიონისას — ჩრდილოეთის, ცენტრის და სამხრეთ რუსეთის ქოხების წინ იქნება გაყვანილი გაუმჯობესებულ ტიპის ქუჩა. შენობების შინაგანი ნაწილი გამოხატავს გლეხის ყოფა-ცხოვრებას და აგრეთვე სათანადო რაიონის ხელობას. პავილიონში იქნება წარმოდგენილი აგრეთვე აგრო-პუნქტი, საბჭოთა მეურნეობა, გლეხის სახლი, სათემო აღმასკომი და ცეცხლის მქრობელი საბარგული.

ყოფა-ცხოვრების გარდასაქმნელად საჭიროა მისი შესწავლა

მოსკოვი. 11 ივლისი. ამხ. ტროცკი გაზ. „პრავდაში“ წერილში „ყოფა-ცხოვრების გარდასაქმნელად საჭიროა მისი შესწავლა“ სწერს: „ყოფა-ცხოვრების საკითხიდან ყველაზე უკეთესად სჩანს, თუ რამდენათ არის კერძო ადამიანი პროდუქტი პირობებისა და არა მისი შემომქმედი. კომუნისტური თეორია (გამოტოვებულია). ჩვენს ცხოვრებას ათეულ წლებათ, ზოგიერთ შემთხვევებში კი საუკუნოებათ. თავისი რეალიზმის და ელასტიურობის წყალობით კომუნისტური პარტია იმუშავებს მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გავლენას ყოველგვარ პირობებში. მაგრამ ერთი საქმეა პოლიტიკური ცხოვრება, მეორე — ყოფა-ცხოვრება. პოლიტიკა ელასტიურია, ყოფა-ცხოვრება კი — ჯიუტი და უძრავი. ამიტომაა ასე ხშირი შეჯახება ყოველდღიური ცხოვრების ასპარიზზე (გამოტოვებულია). გვიჩვენეთ ჩვენ რა ხდება ფაბრიკაში, მუშათა წრეებში, კოოპერატივში, კლუბში, სკოლებში, ქუჩაში, გაიგეთ თუ რა ხდება იქ, მონახეთ საჭირო პერსპექტივა წარსულის ნამსხვრევებისათვის და მომავლის ჩანასახებისათვის. ეს მოწოდება ერთნაირად ეხება როგორც ბელეტრისტებს, ისე პუბლიცისტებს, მუშა-კორესპონდენტებს და რეპორტიორებს. გვიჩვენეთ ჩვენ ცხოვრება ისე, როგორც გამოვიდა ის რევოლიუციონური ქურიდან. მუშების ყოფა-ცხოვრების აღწერა და გაშუქება პირველი მნიშვნელობის ამოცანას უნდა შეადგენდეს ჟურნალისტებისათვის, ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვისაც აქვთ ყური და თვალი. უფრო მაღალი კულტურული დონის მისაღწევათ მუშა უნდა ჩაუფიქრდეს თავის ცხოვრებას, შეისწავლოს ის. ბურჟუაზია, თავისი მოწინავე მიმდინარეობათა სახით დაკმაყოფილდა იმით, რომ (გამოტოვებულია) ერთის მხრით ტეხნიკა, მეორე მხრით პოლიტიკა, რომელიც მუდამ წარმოადგენდა ასპარეზს ბრმა კონკურენციისათვის.

მუშათა კლასი, რომელმაც დაიპყრო სახელმწიფო ძალაუფლება, მიზნათ ისახავს თავის შეგნებულ კონტროლს და ხელმძღვანელობას დაუმორჩილოს ადამიანთა ურთიერთობის ეკონომიური საფუძვლები. მხოლოდ ეს იძლევა ყოფა-ცხოვრების შეგნებულათ გარდაქმნის შესაძლებლობას. ყოფა-ცხოვრების კრიტიკული ანალიზი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ცხოვრება, რომელიც კონსერვატიული იყო თავისი ტრადიციებით საუკუნეების განმავლობაში, არ ჩამორჩეს იმ პროგრესიულ შესაძლებლობას, რომელიც ჩვენ წინ იშლება დღევანდელ სამეურნეო რესურსების წყალობით ან შეიძლება ხვალ გადიშალოს, მეორე მხრით უნდა გავაფართოვოთ ყოველი მიღწევა ყოფა-ცხოვრების დარგში, ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს უფრო რაციონალურად მოვაწყოთ მრეწველობა და მაშასადამე უფრო დავაჩქაროთ სოციალისტური დაგროვების პროცესი. ეს კი თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს მეტ წარმატებას მივაღწიოთ ყოფა-ცხოვრების განსაზოგადოების სფეროში“.

რურის კვანძი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 11 ივლისი. „პრავდა“ მეთაურში ეხება რურის საკითხის გამო ევროპაში შექმნილ გართულებას. ინგლისის მთავრობამ, როგორც სჩანს, მომენტი ხელსაყრელად აღიარა და ერევა რურის საკითხის გარშემო გამართულ მოლაპარაკებაში. ყველა პოლიტიკური პრობლემების ცენტრში დგას უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთს შორის. იტალია სარეპარაციო საკითხში ინგლისს უჭერს მხარს. ბელგიის ბურჟუაზია კი, რომელსაც ახლა უკვე ეჭვი ეპარება პუანკარეს პოლიტიკის გამარჯვებაში, რყევას განიცდის. ამ მდგომარეობას შესაძლებელია მოჰყვეს საფრანგეთის სრული იზოლიაცია სარეპარაციო საკითხში. ამავე დროს არავითარი ნიშნები არ არის იმის, რომ ბურჟუაზიის პოლიტიკოსები შესძლებენ გორდიუსის კვანძის გადაჭრას. „გერმანიის მეურნეობა კი უფსკრულისკენ მიექანება, კრიზისი მწვავდება, უმუშევრობა იზრდება, მარკის კურსი ეცემა, მუშები ილვიძებენ, გერმანიას მოელდო გაფიცვების ტალღა. გერმანიის კომუნისტური პარტია, გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდი თანდათანობით მეტ გავლენას პოულობს მშრომელთა ფართე მასებში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

კომუნისტების დასახმარებლად.

ჰელსინგფორსში. 8 ივლისი. ფინეთის პროფკავშირების საბჭომ წინადადება მისცა სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ პარტიებს შეთანხმებულათ მოითხოვონ პოლიტიკურ საქმეების გამო დატუსაღებული კომუნისტების განთავისუფლება.

პროფკავშირების საბჭომ დახმარებისათვის მიმართა აგრეთვე ჰამბურგის და ამსტერდამის ინტერნაციონალს, პროფინტერნსა და კომინტერნს.

გაფიცვა ჩრდილოეთ ესპანეთში.

პარიზი, 10 ივლისი. ბილბაოდან მიღებული ცნობებით, ბილბაოს, გაიარტას და ორტუალას ოლქებში გამოცხადებულია მაღაროს მუშების საყოველთაო გაფიცვა,

უმუშევრები.

ბერლინი. 8 ივლისი. უმუშევრებმა ესენში მოახდინეს დემონსტრაცია ქალაქის თვითმმართველობის შენობის წინ და მოითხოვეს დახმარების გადიდება. დემონსტრანტების წინააღმდეგ მოწვეული იქნა პოლიცია.

მუშების მოთხოვნილება.

ნიუ-იორკი. 9 ივლისი. ანტრაციტის მაღაროების მუშების კავშირმა მოითხოვა შრომის ხელფასის გადიდება 25 პროცენტით, კავშირის ცნობა, 12 საათის სამუშაო დღის მოსპობა და ხელშეკრულების დადება 2 წლით.

ინგლისის გემების აღმშენებელ მუშათა გაფიცვა.

ბერლინი. 11 ივლისი. ლონდონის „დოკერებმა“ დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა. მოძრაობა გავრცელდა კარდიფსა და ბერრში.

უცხოეთის ცხოვრება

როგორ მოჰკლეს სტამბულინსკი

გაზ. „ჩაკატამარტის“ კორესპონდენტი სოფიიდან შემდეგს იუწყება სტამბულინსკის მოკვლის შესახებ: „ღამით ცხრა ივნისს, როცა გამოირკვა რომ სტამბულინსკი არ არის სოფიაში, ახალმა მთავრობამ გასცა ბრძანება აღმოეჩინათ ყოფილი პრემიერი, რომელიც მიღებული ცნობების მიხედვით სოფელ სლავოვიცაში იმალებოდა. დღის 7 საათზე სოფელს ალყა შემოარტყა მთავრობის დიდმა რაზმმა. რაზმის უფროსმა აუწყა სოფლელებს მთავრობის შეცვლა და მოსთხოვა სტამბულინსკის გაცემა. სტამბულინსკიმ იფიქრა, რომ მას საქმე აქვს მოღალატე მაკედონელებთან, რომლებმაც ერთი თვის წინათ მას მუქარის წერილი გაუგზავნეს, უარი სთქვა დანებებაზე და უბრძანა თავის მომხრეებს მზად ყოფილიყვენ წინააღმდეგობის გასაწევათ. დაიწყო ბრძოლა. სტამბულინსკის მომხრეებს ხელმძღვანელობდა პრემიერის ძმა. მთავრობის რაზმმა სთხოვა ცენტრს დახმარება. სტამბულინსკის წინააღმდეგ, რომელსაც შერჩა მხოლოდ ასამდი მომხრე იბრძოდა 1000 კაცისგან შემდგარი რაზმი. ბრძოლის დროს სტამბულინსკიმ მოასწრო გაქცევა და დაიმალა ახლობელ ტყეში. მთავრობის რაზმმა დაამარცხა სტამბულინსკის მომხრეები და ალყა შემოარტყა ტყეს. გლეხებმა იცნეს ყოფილი პრემიერი და ის იძულებული გახდა დანებებოდა მთავრობის რაზმს. სტამბულინსკი ჩასვეს ავტომობილში და წაიყვანეს სოფიისაკენ. გზაში მოხდა მკვლელობა, რომელიც მეტად დიდ ეჭვებს ბადებს. ოფიციალური ცნობა ამის შესახებ შემდეგს ამბობს: „გზაში ავტომობილს თავს დაესხენ გლეხები, მაგრამ სტამბულინსკიმ მოახერხა გაქცევა. გაცემულ იქნა განკარგულება სტამბულინსკის დაკავების შესახებ. დევნის დროს სტამბულინსკს ესროლეს და ის მოკლულ იქნა. მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა ამ ამბის გამო. მთავრობამ გასცა სასტიკი განკარგულება საქმის ვითარების გამორკვევის შესახებ“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

რევოლიუციის მებრძოლთა ძეგლი განჯაში.

განჯა. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცხადებულია განჯის აჯანყების ჩაქრობის დროს დაღუპულ წითელ არმიის მებრძოლთა ძეგლის პროექტების კონკურსი. ძეგლი უნდა გამოხატავდეს რევოლიუციის მსხვერპლთა დიდებას და გამოაჩინოს მისი გმირული შინაარსი. ძეგლში სასურველია აღმოსავლეთის ელემენტები. კონკურსში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან საბჭოთა ფედერაციის ყველა მოქანდაკეები, მხატვრები და არქიტექტორები. პროექტები დეტალურად უნდა იქნენ დამუშავებული და შესრულებული მიცემული მასშტაბით, პროექტები და სურათები შესრულებული უნდა იქნენ არა ნაკლებ ვატმანის ქაღალდის ნახევარ ფურცლის ზომისა. ქანდაკების პროექტები — წითელი მიწით, სანთლით ან გიპსით — არა ნაკლებ 12 ვერშ.

საუკეთესო პროექტებში პრემიის სახით მიცემული იქნება 500,300 და 200 მანეთი ოქროთი. პროექტების წარდგენის უკანასკნელი ვადა არის 10 ოქტომბერი.

სამთომადნო მუშა-მოსამსახურეთა კინო კავშირი.

ბაქო. 7 ივლისი. სამთომადნო მუშა-მოსამსახურეთა კავშირის კულტურულ განყოფილების მთავარი სამმართველო აარსებს შუა ქალაქში ორს კინომატოგრაფს, რომელიც უმთავრესათ მოემსახურება კავშირის წევრებს.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

ბაქო. 7 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაულის გამო ბაქოს კავშირი ყველა თავის მაღაზიებში ერთი კვირის განმავლობაში საქონელს გაჰყიდის 10—15 პროცენტის დაკლებით არა მარტო თავის წევრებსა, არამედ ყველა პროფესიონალურ კავშირთა წევრებზედაც, რომლებიც ჯერ არ ჩარიცხულან კოოპერაციის წევრად.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 8 ივლისი. ივლისის 1—2 ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია სულ 1,772,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში მოშვებული იყო 1,294.000 ფუთი, საქაჩავიდან მიღებულია — 1,280,000 ფუთი. დაწმენდილია 237,000 ფუთი. ბურღვა სწარმოებდა 166 ჰაზე. ჩაბურღულია 260 საჟენი.

ნავთის ამოღება ივნისში.

ბაქო. 7 ივლისი. ივნისის განმავლობაში ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია სულ 18,271 ათასი ფუთი ნავთი, საქაჩავში მიშვებული იყო 12, 415 ათასი ფუთი, საქაჩავიდან მიღებულია 12,261 ათასი ფ., დაწმენდილია 2,561 ათასი ფუთი. ჩაბურღულია 2,939 საჟენი.

მთიან კარაბახის ავტონომიურ ოლქის დაარსება

ბაქო. 9 ივლ. მეფის თვითმპყრობელობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ეროვნულ უმცირესობათა დაჩაგვრა, არ ერიდებოდა ცალკე წვრილ ერების მოსპობასაც კი ერთმანეთზე წასისიანების გზით.

სომეხ-თათართა ჟლეტა ამიერ-კავკასიაში 1905 წლის ველიკოროსულ თვითმპყრობელობის დამღუპველ პოლიტიკის დამამტკიცებელი საბუთია. იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მუშათა მასები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ კაპიტალის ჩაგვრის წინააღმდეგ, ამ დროს ორ მონათესავე, ისტორიულად დაკავშირებულ ხალხებს შორის სომხებსა და მუსლიმანებს შორის, დათესილი იყო შუღლისა და მტრობის თესლი. ეს უფრო აშკარა გახდა მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასია დანაწილებული იყო სამ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთ“, რომელშიაც ხელმძღვანელი როლი ხელში ჩაუვარდათ ერთ მუჭა ნაციონალ-შოვინისტებს — მუსავატელებს, დაშნაკებს და მენშევიკებს, — დასავლეთის კაპიტალის ლაქიებს. პირველ რიგზე მათ დააყენეს ბატონობა ეროვნულ უმცირესობაზე. ამ „სახელმწიფოების“ არსებობის განმავლობაში მშრომელ გლეხობის ბევრი სისხლი დაიღვარა ყარაბახისა და ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებში. ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის მოსპობა, როგორ ფორმაშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს ის, და ეროვნული მტრობისა და შუღლის მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობითა და ხალხთა ძმური თანამშრომლობით შეცვლა ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირში — ეს ერთი ძირითადი ამოცანათაგანია მუშურ-გლეხურ რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების. ამ ამოცანის შესრულებისათვის აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა, მოეწყოს მთიან ყარაბახის სომხების ნაწილში ავტონომიური ოლქი, როგორც ავტონომიური ნაწილი აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკისა, ცენტრით დაბა ხანკენდიში. ავტონომიურ ოლქის მმართველობის ორგანოებათ არიან საოლქო აღმასკომი და ადგილობრივი საბჭოები. საოლქო აღმასკომის დაარსებამდი მოწყობილი იქნება დროებითი რევკომი, რომელსაც ევალება არა უგვიანეს ორი თვისა მოიწვიოს საბჭოების ყრილობა მუდმივ აღმასრულებელ ორგანოს ასარჩევად. ყველა საძოვარი ადგილები, ტყეები, ბაღები და აგრეთვე მიწითა და წყლით ფაქტიური სარგებლობა რჩება ეხლანდელ მეპატრონეთ. საოლქო აღმასკომი ყველა აუცილებელ ფინანსიურ და ტეხნიკურ საშუალებებს ღებულობს აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის საერთო საშუალებებიდან აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომის უშუალო განკარგულებით. ოლქის დებულების გამოსამუშავებლად, ადმინისტრატიულ ერთეულების ფაქტიურათ გადასაცემად და მთიან ყარაბახის ავტონომიურ ოლქის საზღვრების გამოსარკვევად დაარსებულია შერეული კომისია, რომელშიაც შედიან მთიან და დაბლობ ყარაბახის, ქურთისტანის და აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლების წარმომადგენლები. კომისიას დავალებული აქვს დაამთავროს მუშაობა ხუთმეტ აგვისტოს.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ყოფილ მენშევიკების კონფერენცია ქუთაისში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა მარტინოვის მოხსენება. ორშაბათს, 9 ივლისს, დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი მარტინოვის მოხსენების გარშემო და გაირჩა დღის წესრიგის სხვა საკითხები. დიდი აღფრთოვანებით მოსმენილ იქნა სვანეთიდან ჩამოსულ მენშევიკ—სვანის სიტყვა. ინტერნაციონალის სიმღერით კონფერენცია მისალმებას უგზავნის ლენინს, კომინტერნს, რუსეთის კომპარტიის ცეკას, საქართველოს კომპარტიის ცეკას, მახარაძეს და ცხაკაიას.

მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. — კონფერენციას დაესწრო 326 დელეგატი — წარმომადგენელი 1630 ამრჩეველთა. აღშფოთებით მოსმენილ იქნა მენშევიკთა ცეკას პროკლამაცია და გამოტანილ იქნა პროტესტი.

მეორე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენციისათვის

ამხანაგებო! დადგა დრო, როდესაც ჩვენ, სოც.-დემოკრატ. მენშევიკური პარტიიდან გამოსულმა მუშებმა, სამუდამოთ უნდა ავიღოთ ხელი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებაზე და დეზორგანიზაციის შემტანი ჯგუფებისაგან, რომელნიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოდიან.

მთელი მუშათა კლასის წინაშე კავშირი უნდა გავსწყვიტოთ მენშევიკურ ორგანიზაციასთან და თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი უპასუხისმგებლო გამოსვლა ამ პარტიის ხელმძღვანელებისა.

ამისათვის ამხანაგებო, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეუდგეთ მე-2-ე უბნის ყოფილ ს.-დ. პარტიის წევრთა დელეგატების არჩევას კონფერენციისათვის.

წარმომადგენლობის ნორმა 1 კაცი 5 წევრზე.

კონფერენციის დღე და ადგილი ცალკე გამოცხადდება.

კონფერენციის მომწვევი საინიციატივო ბიურო:

1. ვარსამაშვილი, 2. ანთიძე, 3. ბუჯანაშვილი, 4. ლიჩელი, 5. შარაშენიძე, 6. მეგრელიშვილი, 7. ჩუკსუკიძე, 8. სახანოვი, 9. ბუზიკაშვილი, 10. ლიტანიშვილი და 11. ახობაძე.

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

„ჩვენ, მენშევიკური პარტიის წევრები, სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის მუშა-მოსამსახურენი, საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ სრული შეგნებით ვსტოვებთ აღნიშნულ პარტიის რიგებს, რადგან დავრწმუნდით, რომ მენშევიკური პარტია მთელი თავისი იდეოლოგიით და პრაქტიკული ნაბიჯებით მოღალატეა მშრომელთა კლასის ინტერესების, ის გადაქცეულა ბურჟუაზიის მაჩანჩალად. მენშევიკურმა პარტიამ მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს უღალატა და ძირს დაუშვა მშრომელი კლასის სისხლში განბანილი დროშა წითელი.

რამდენად შორს იდგა და დგას ამ ჟამად მენშევიკური პარტია მშრომელთა კლასიდან, იმდენათ მჭიდროთაა დაკავშირებული მუშათა მასებთან საბჭოთა ხელისუფლება, რაც ნათლად დამტკიცდა ხელისუფლების მუშაობით როგორც სამეურნეო, ისე ეკონომიურ ფრონტზე. დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება შეუდრეკლად და ურყევლად იცავდა და იცავს მშრომელთა ინტერესებს და რევოლიუციის დროშა მას მაღლა უჭერია. ჩვენ მოვალენი ვართ, როგორც მშრომელი ხალხი, ხელი შეუწყოთ და გავამაგროთ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ჩვენს ინტერესებს იცავს. გაუმარჯოს მას.

1) მაისურაძე ვასილი პარტიის წევ. 1912 წ., 2) მეტრეველი ივანე პარტიის წევრი 1918 წ., 3) სულაძე ალექ.ანდრე გვარდიელი 1918 წ., 4) გელოვანი ანტონ პარტ. წევ. 1918 წ., 5) გურძენიძე მიხეილ გვარდიელი 1919 წ., 6) ბიძინაშვილი ზაქ. პარტ. წევ. 1917 წ., 7) ზანდუკლიძე ზაქარია პარტ. წევ. 1904—1919 წ., 8) კაპანაძე იოსებ გვარდიელი 1919 წ., 9) ნიკოლაევი მიხეილი პარტ. წევრი 1902—1917 წ., 10) აბაშიძე გიორგი გვარდიელი 1919 წ., 11) დემურიშვილი კონსტანტ. პავლეს ძე პარტიის წევრი 1920 წ., 12) ბიძინაშვილი გიორგი პარტ. წევ. 1919 წ.

ამხანაგო რედაქტორო, გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

მე ვეკუთნოდი მენშევიკურ პარტიას 1920 წლამდი. ვინაიდან დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია მოღალატეა მუშათა კლასის და ბურჟუაზიის დამცველი, მე გამოვედი ზემოხსენებული პარტიიდან. ვეცდები ჩემი ძალღონე მოვახმარო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

გზის ოსტატი მე-22 საოსტატოსი მე-5 უბნის, **კონდრატი დიმიტრის ძე მაღრაძე.**

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი განცხადება!

მე 1903 წლიდან 1921 წლამდე ვითვლებოდი მენშევიკური პარტიის წევრად. საქართველოს გასაბჭოების დღიდან მე ამ პარტიაში აღარ მიმუშავნია, არცა ვმუშაობ, რადგან მისი მოქმედება დამღუპველია მუშათა კლასისათვის. მე სრულიად შეგნებულად ვთვლი ჩემს თავს ამ პარტიიდან გამოსულად და ამიერიდან ვეცდები ჩემის ცოდნისა და საქმიანობის მიხედვით, ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

ერასტი ლუკასძე დავლიანიძე.

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი:

მე, ივანე ფანჯავიძე, საბჭოთა 1-ლ ელექტრონის სადგურის ზეინკალი, ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში 1905 წლიდან და ვმუშაობდი მასში ნიკოლოზ მე-2 ჩამოგდებამდი, უკვირდებოდი ამ პარტიის მუშაობას და უსამართლობა შევამჩნიე მუშათა კლასის მიმართ. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი მე სრულებით დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია მუშათა კლასის დაცვის მაგივრათ ბურჟუაზიის დამცველათ გახდა.

მუშათა კლასისა და რევოლიუციის ერთად ერთი დამცველი არის ბოლშევიკების პარტია.

1918 წ. მე განცხადება შევიტანე მენშევიკების პარტიაში პარტიიდან გამოსვლის შესახებ, მაგრამ რატომღაც „ერთობის“ რედაქტორს ის არ დაუბეჭდავს, ალბათ, იმის შიშით, რომ ჩემს მაგალითს შესაძლებელია სხვა მუშებიც გაჰყოლოდა. გამოვდივარ რა ეხლა ოფიციალურად პარტიიდან, მე მოუწოდებ ყველა ამხანაგებს დადგნენ წითელ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ძირს შემთანხმებელი მენშევიკური პარტია.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

ივანე ფანჯავიძე.

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გაზეთში გაუშვათ შემდეგი:

1918 წლიდან მე ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში. ეხლა ვტოვებ ამ პარტიას, რომელიც მოღალატე გამოდგა მუშათა კლასის. მწამს პროლეტარიატის დიქტატურა და მთელი ჩემი ენერგიით დავიცავ მას.

თავდუმეშვილი მაკარ.
(ცეკავშირის თანამშრომელი)

მეორე რაიონის მუშათა კონფერენციის რეზოლუცია მენშევიკური პარტიის შესახებ.

იმ მოხსენების შემდეგ, რომელიც გააკეთა ამხ. რუბენმა „მენშევიკური პარტიის გახრწნის შესახებ“, ჩვენ, დელეგატები მე-2-ე რაიონის მე-4-ე ფართო მუშური კონფერენციისა, ვრწმუნდებით შემდეგში:

1) საერთაშორისო მენშევიზმი და მისი ორგანო მე-2-ე ინტერნაციონალი დგას დაშლის და განადგურების გზაზედ.

2) ობიექტიურად რუსეთის მენშევიზმი აღმოჩნდა კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში, როდესაც სწარმოებდა გაშმაგებული და დაუნდობელი ბრძოლა შრომასა და კაპიტალ შორის.

3) პოზიცია მენშევიკებისა როგორც საერთოდ, ისევე კერძოდ რუსეთსა და საქართველოში, როდესაც მუშათა კლასი ამაგრებდა და ამტკიცებდა თავის ბატონობას, წარმოადგენდა ანარეკლს წვრილ ბურჟუაზიის ინტერესებისას, რომელსაც ეშინოდა სოციალური რევოლიუციისა ისევე, როგორათაც ცეცხლისა და მახვილისა.

4) საქართველო, როგორც წვრილი ბურჟუაზიული ქვეყანა, დიდხანს ითვლებოდა აკვნად წვრილ ბურჟუაზიისა და კონტრ-რევოლიუციისა, რომლის იდეების გამტარებლები გახდნენ საქართველოს მენშევიკები.

5) საქართველოს მუშათა კლასის შესამჩნევი ნაწილი, რომელიც ტრადიციულად დაკავშირებული იყო სოციალ-დემოკრატიასთან და მის ბელადებთან, ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის დროს, აღმოჩნდა დასაყრდნობ ბოძათ მენშევიკური პარტიის მერყევი პოლიტიკისა.

6) სამოქალაქო ომის და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პროცესში, საქართველოში შეიქმნა პირობები კლასიური შეგნების გაღვივებისა იმ მუშებ შორის, რომლებიც დღემდე კიდევ იდგნენ მენშევიკურ პარტიის პლატფორმაზედ.

7) თანდათანობით გაღრმავებამ ხსენებული პროცესისა მენშევიკურ პარტიას საქართველოში გამოაცალა მთავარი დასაყრდნობი — მუშათა კლასი.

8) კონფერენცია ესალმება გამოფხიზლებულ მუშებს, რომლებმაც გასწყვიტეს ყოველივე კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და ღებულობს მათ მუშურ ოჯახში, რომელიც იბრძვის ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის სოლიდარობას!

გაუმარჯოს წითელ ოქტომბერს!

ამ.-კავ. რესპუბლიკები და სპარსეთი

ამხ. გუსეინოვის დეპეშა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. გუსეინოვმა გაუგზავნა სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მოსადიგეს სოლტანეს დეპეშა და მისი ახლი რ. ს. ს. ფ. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს შუმიაცკის შემდეგი შინაარსის: ამ. კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელით გიცხადებთ ღრმა მწუხარების გრძნობას თქვენი დიპლომატიური წარმომადგენლის მამედ ალი ეხშტაშენ ხუმაინას გარდაცვალების გამო. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ახალი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ უფრო მეტად განმტკიცდება საუკუნოებრივი მეგობრული დამოკიდებულება სპარსეთსა და ამ.-კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ამ.-კავკასიის საგარეო საქმეთა სახ. კომისრის სახელზე მიღებულია სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი საპასუხო დეპეშა: დეპეშამ, რომელიც თქვენ კეთილი ინებეთ გამოგვეგზავნათ, ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლის გარდაცვალების გამო, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალი მოადგილე, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება დანიშნული, ყოველგვარ ღონეს იღონებს, რომ უფრო განამტკიცოს მეგობრული კავშირი სპარსეთსა და ამ.-კავ. რესპუბლიკებს შორის.

მემელოკის დეპეშა.

მოსკოვიდან ამ.-კავ. ს. ფ. რ. საგარეო საქმეთა კომისრის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: თქვენის სახით ვუცხადებთ გულითად მადლობას ყველა სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენელთ, რომელთაც კეთილი ინებეს და მიიღეს მონაწილეობა სპარსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის გარდაცვალებულ ეხშტაშენ ხუმაიუნის დასაფლავებაში. ხელმოწერილია — მეშაკერსლ მემელოკი.

სპარსეთის კონსულის მადლობა.

სპარსეთის გენერალურ საკონსულოდან მიღებულია საგარეო საქმეთა კომისარიატში შემდეგი მომართვა; დიპლომატიური წარმომადგენლობა გიცხადებთ თავისი უგულითადესს მადლობას იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოიჩინეთ სპარსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის გარდაცვალების გამო. მიიღეთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა. გენერალურ კონსულის დროებითი მოადგილე: ფრიდუნხან.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა მეოთხე ყრილობა

მეცხრე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ლეჟავა.

მეცხრე, დილის სხდომა მოუნდა სექციებისგან წარმოდგენილ თეზისების განხილვას.

ყრილობა იხილავს და რამოდენიმე შესწორება შეაქვს საორგანიზაციო, კულტმუშაობის შესახებ გამომუშავებულ თეზისებში და უცვლელად იღებს თეზისებს სატარიფო-ეკონომიურ საკითხზე.

მეათე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. **ანდრეიჩიკი.**

სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ მონტიკოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ ყრილობაზე გამოცხადდა 160 დელეგატი, 131 დელეგატი გადამწყვეტი, ხოლო 29 სათათბირო ხმის უფლებით. რაოდენობა კავშირის წევრთა, რომელნიც წარმოდგენილნი არიან ყრილობაზე, შეიცავს 26.849-კაცს. პარტიულობის მიხედვით შემადგენლობა დელეგატებისა ასეთია: კომუნისტები — 109, კანდიტატები — 6, კომუნ. ახალ. კავშირიდან — 5 უპარტიო — 11; წერა-კითხვის უცოდინარი დელეგატთა შორის არავინ არის.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით ყრილობა იყოფა ამგვარად: 93 მუშა, და 38 მოსამსახურე.

არჩევნები.

შემდეგ ყრილობა შეუდგა არჩევნებს.

ყრილობა ერთხმად ირჩევს საგზაო კომიტეტს 17 კაცისგან შემდეგი პირთა შემადგენლობით: **ამხ. ამხ. ლეჟავა, ჩხეიძე, ახლანოვი, იუნინი, მარქაროვი, ტერ-სტეფანოვი, პოზდეევი, ვაშაკიძე, კუზნეცოვი, გრიგორიანი, მამედოვი, ბუზნიკაშვილი, კვანტალიანი, ლოლობერიძე, დიკი, ყურულაშვილი და სტარკოვი.** კანდიტატებად: სადიხი, ბაგიროვი, კოლოსოვი, კაზარიანი, კაპანაძე, ქავთარაძე, ფანცულაია, ლებედევი.

სარევიზიო კომისია.

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: **ბელუჯევი, ჩხენკელი და ბორამოვი.**

კანდიდატებად: **დადიანი, კალანდაძე.**

რკინის გზის დამზღვევ კასის შემადგენლობა:

დამზღვევ კასაში არჩეული არიან ერთხმად: **დიკი, აფანასიევი და შენგელაია.**

კანდიდატებად: **ლაშქარიშვილი სურანიანი.**

საგზაო ინსპექტორად ერთხმად არჩეულია ამხ. **როხლინი.**

მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობა შეუდგა მიმდინარე საკითხების განხილვას.

ამხ. ლეჟავა აცხადებს, რომ რკინის გზის კავშირში შემოსულია თხოვნა 1 მაისობის დღესასწაულისთვის დათხოვნილ თავრიზელ რკინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლთა თხოვნა მათი კავშირში ჩა- ტვის შესახებ. ყრილობა ერთხმად აყოფილებს თავრიზელ მუშების ოვნას.

ეროპლანი „დორპროფსოჟი“.

შემდეგ ყრილობა ხვდება რა მხურ- ლე თანაგრძნობით ამხ. ლეჟავას ცხადებას ჰაეროპლანის აგების სახებ, ერთხმად გამოაქვს დადგე- ნილება, რათა რკინის გზელთა ახალ- კავშირმა ყოველ ღონისძიება იხ- ოს ჰაეროპლან „დორპროფსოჟ- ს საჩქაროდ ასაგებად.

ამხ. ანდრეიჩიკის საბოლოო სიტყვა.

რილობის დახურვის წინ რკინის- ლთა კავშირის ცეკას წევრმა ამხ. დრეიჩიკმა ყრილობას შემდეგი ტყვით მიმართა:

ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

ახლა ჩვენი ვალია ვუსურვოთ ახალ საგზაო კომიტეტს, რომ მან წარმატებით გაატაროს ცხოვრებაში ყრილობისგან მიღებული დადგენილებანი. ეხება რა კავშირის მუშაობას, იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კავშირის მუშაობა მიუახლოვდა პროლეტარული რევოლიუციის კერას—მოსკოვის მუშაობას.

გაუმარჯოს ს. ს. რ. კავშირის რკინისგზელთა ერთობას!—ასე აბოლოებს ამხ. ანდრეიჩიკი თავის სიტყვას, რომელსაც ჰფარავს მქუხარე ტაში.

ამხ. ანდრეიჩიკის შემდეგ ამიერკავკასიის რკინისგზელთა ყრილობა დახურულად ცხადდება.

პარტიული ცხოვრება

ჭიათურა

ივლისს, სამშაბათს ქ. ჭიათურა- პროჟექტორის დარბაზში გაიმარ- ჭიათურის ორგანიზაციის საე- პარტიული არაჩვეულებრივი ბა.

უკანასკნელი მოწვეული იქნა სამა- პარტკომის მიერ, რომელიც ამას დღე გადმოვიდა ქ. ზესტაფონიდან ჭიათურაში. კრების მიზანი იყო ეხედა ჭიათურის მუშური ორ- ნიზაციისათვის და გაესინჯა შისი ები. კრებას არ დაკლებია არც პარტიის წევრი და ბოლომდი დი სიცოცხლით ჩატარდა.

მომხსენებლების ენერგია ერთი დ გააორკეცა შავ ქვაში გამუ- ლ მუშების თუმცა დაღლილ, მაგ- ბრწყინვალე სახეებმა, რომელ- ხარბად იჭერდენ მომხსენებლის ლ სიტყვას.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით—ინ- ლის-რუსეთის კონფლიქტზე გამო- ა ამხ. დ. მშვენიერაძე, რომელ- დამსწრეთ გადაუშალა ნათელი ათი თანამედროვე საერთაშორი- მდგომარეობის და ვრცლად შეე- ლორდ კერზონის ნოტას—რუსე- მიმართ, უკანასკნელის პასუხს ზე და მის შედეგს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მუშების მიერ შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. გოგიბერიძემ სამაზრო კომუნალურ განყოფილების მუშაობაზე. მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთავარი ყურადღება ამ განყოფილების მიერ მიქცეული იყო ქალაქებზე—ჭიათურასა და ზესტაფონზე და სრულიად უყურადღებოდ კი იყო დატოვებული იყო თემები, სადაც არ გაკეთებულა არც ერთი გზა-ტკეცილი.

განყოფილების სუსტად მუშაობა მომხსენებელმა თვით აღიარა და გააცნო მსმენელთ მომავალი მუშაობის გეგმა.

დაბოლოს ამხ. დ. მშვენიერაძე მუშებს ესაუბრა საორგანიზაციო საკითხზე: თუ რა არის ორგანიზაცია, კლასი, პარტია და სხვა.

კრების გათავებისას ყოველ მსმენელს სახეზე ეხატებოდა დიდი კმაყოფილება. ალბად იმის გამო, რომ მან სამი ოთხი საათი კრებაზე ფუჭად კი არ დაკარგა, არამედ ბევრი საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებს გაეცნო.

ვ.

გარე-კახეთის რაიონში

ბილისის მაზრის რეორგანიზაცი- შემდეგ დაარსდა გარე-კახეთის პარტკომი, რომელშიაც შედის ეგი თემები: საგარეჯო, სართი- ა, გომბორი და მარტყოფის და ოს თემები. რაიკომის დაარსე- და ქალთა შორის მომუშავეს გა- ოფის შემდეგ ქალთა შორის მუ- შაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინა- ობს. ამ ორი თვის განმავლობაში ტარდა რამდენიმე კრება.

ყველა თემებში დელეგატების ხელ- ლი არჩევნები დამთავრებულია. ულნი არიან საბჭოთა მთავრო- ს თანამგრძნობი ქალები, მასწავ- ლები და საფეიქრო სკოლის ალგაზრდა მოწაფეები.

კვირაში ერთხელ მიდის მეცადინეობა დელეგატებთან სხვა და სხვა თემებზე. ივნისში მოხდა დელეგატთა საერთო რაიონული კრება, რომელიც ჩატარდა დამაკმაყოფილებლად.

არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები ქალებისათვის, ხელმძღვანელნი არიან ადგილობრივი მასწავლებელნი. აგრეთვე არსებობს პოლიტიკური წრეები, სადაც ღებულობს მონაწილეობას 16 ახალგაზრდა ქალი.

საერთოდ ქალთა შორის მუშაობას გარე-კახეთის რაიონში გამოცოცხლება ეტყობა.

ა. დანელია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(11 ივლისი).

ერვონცები — — —	16,000
ირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,050
ჩეკები —	12,150
ოლარი ეფექტ. — —	3,150
ჩეკები —	2,850
სმალური ქალ. ლირა —	2,230
ტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155
საბჭ. ფულ. ნიშნებ. —	18 ნახ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(11 ივლისი)

პური თეთრი—80—100 ათ., პური 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი—100 მან., ერბო 800 ათ. კარაქი—700—800, ყველი თუშური—400-450, ნალებმოხდილი ყველი—200, საპონი როსტოვის—350, მარმარილოსი—300, კართოფილი—40 ათ., კომბოსტო—70 ათ., ჭარხალი—100, მწვანე ლობიო—80—100 ათ., ბურღული—60, ბრინჯი აგდაშის—130. პამიდორი—200 ათ., კვერცხი 10 ც.—380 ათ., ხორცი ძროხის 350-400, ცხვრის—450 ათ.,

მუშკოპის ფასები.

(11 ივლისი).

პური 2 ხარ.—45, თეთრი ფქვილი—80 ათასი, აგდაშის ბრინჯი—120, ნატეხი შაქარი—620, კარაქი—960, კართოფილი—40, ძროხის ხორცი—350, შაქრის ფხვნილი—420 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(11 ივლისს)

გოგირდი „ბუდა“, ყუბანის ფქვილი უმაღლესი, 1. 2 და 3 ხარისხის, ქატო. მაკარონი და ვერმიშელი, რკინეულობა, ბარები, ფიწალი, ერბო, შვეიცარული ყველი, ცეილონის ჩაი, მარილის სინდიკატის პროდუქცია, სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, რუსეთის ფართლეულობა, რუსეთის ასანთი, საპნის სუროგატი, ლურსმანი, თოკი, საბეჭდავი ქაღალდი—16×24, ამერიკული ფეხსაცმელები, ინგლისური შაბიამანი, ფანჯრის მინები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

1, 2, 3 და 4 ხარისხის ფქვილი, ცემენტი, ნარმა, რკინეულობა, საღებავები ტყავისათვის, ულტრამარინი, სოდა, ინგლისური თეთრი თუნუქი, საპნის სუროგატი, ინგლისური შაბიამანი, სკიპიდარი თეთრი და ტეხნიკური, ავსტრიული სამუშაო ფეხსაცმელები, ძნის შესაკრავი თოკი, ნახიჩევანის ქვამარილი, ღვედები, სალომასი, ფანჯრის მინები, ტომრები, შვეიცარული ყველი.

ტფილისის საქონლის ბაზრის განყოფილება.

(11 ივლისი).

პურის და ხორბლის ფასები განიცდის რყევას. შაქრის ბაზარზე მტკიცეა. დანარჩენ ბაზარზე ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენი სიმდიდრენი.

ლითოგრაფიული ქვა.

საქართველოს სიმდიდრეთა რიცხვს ეკუთვნის უმაღლეს ხარისხის ლითოგრაფიულ ქვის ბუდობი, რომელიც ძვირფასი მასალაა სამრეწველო წარმოებისათვის. ამ ბუდობებს აღნიშნავს ინჟინერი ცეიტლინი თავის წერილში („სახალხო მეურნეობა“ № 28). დასახელებულ ინჟინერის ცნობების მიხედვით ლითოგრაფიულ ქვის პარალელური ფენების დასაწყისი იწყება 48 ვერსიდან ქუთაის-ლეჩხუმის გზა-ტკეცილზე, რიონის ორივე ნაპირის მიმართულებით და მიემართება თითქმის განუწყვეტლივ 55 ვერსამდი. შემდეგ ქვაკირი. რომელიც ლითოგრაფიულ ქვას შეიცავს, ღრმად იფლება მიწაში და 20 ვერსის შემდეგ გამოჩნდება სოფ. ტვიმთან, გაივლის მთელ რიგ სოფლებს და კვლავ ამოჩნდება სოფ. მურის ხიდთან, მდ. ცხენის წყალზე და გრძელდება სოფ. ჩვიშამდი.

ფენების სიმაღლე მეტად დიდია 6—10 მეტრამდი. ფენების რიცხვი ზოგიერთ ადგილებში ადის 25 დე, მაგრამ ყველა ფენების ექსპლოატაცია არ შეიძლება ლითოგრაფიულ მიზნებისათვის, რადგან ზოგიერთი ფენები მსხვილებია და ადვილათ სკდება.

ლითოგრაფიულ მიზნებისათვის გამოსადეგი ფენების რიცხვი უდრის 21—16, მათი სიგანე 3-დან 26 სანტიმ. აღწევს და ამიტომ სრული შესაძლებლობა არის გამოყენებულ იქნენ ისინი საჭიროების მიხედვით. მეტად მნიშვნელოვანია ტეხნიკურის მხრივ ის გარემოება, რომ ზოგიერთ ადგილებში მდ. გვირეშის ღელესა და ლაჯანურის ხეობაში, განსაკუთრებით კი „ძაღლის საყეფელაში“, ფენების დამუშავება ადვილია, რადგან ფენები 25 დესეტინის მანძილზე დაფარული არიან ნიადაგის უმნიშვნელო ფენით, ადგილობრივ კი სრულებით ღიათ არიან.

ფენების განუწყვეტლობა და ნიადაგის უმნიშვნელო ფენი მეტად აადვილებს მუშაობას და აიაფებს მას; ის აგრეთვე საშვალებას იძლევა დამზადებულ იქნეს სხვადასხვა ზომის ფილები 35კვ. სანტ. 1კვ. მეტრამდი და კიდევ უფრო მეტი; ფილების სიგანე კი შეიძლება 5-დან 20 და უფრო მეტ სანტიმეტრამდი.

ინჟინერი ცეიტლინის ცნობით, ლითოგრაფიულ ქვის შემადგენლობა ძალიან თხელი და მკვრივია. ქვის ასეთი ღირსება მეტად მნიშვნელოვანია ლითოგრაფიულ ხელოვნებაში და ადიდებს მის ღირებულებას. ეკონომიურის მხრივ ლითოგრაფიული ქვის ლეჩხუმის ბუდობები მეტად მოსახერხებელია ფენების ფართო სივრცის ექსპლოატაციისათვის; ფენების დამუშავება შეიძლება 400 კვ. ვერსის სივრცეზე, რადგან ფენების ზედა პირების გამოსაჩენი ადგილები გზა-ტკეცილების ახლოს მდებარეობენ. ჯერ-ჯერობით შეიძლება შემოღებულ იქნას ფენების ღია ამოღება; ფენები თანასწორი და სუფთა ზედაპირით მდებარეობენ მიწაში. შემდეგ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კარგათ მოწყობილ გზა-ტკეცილს ადგილობრივ საჭირო მუშა ხელის რაოდენობას და, ბოლოს, კლიმატიურ პირობებს, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს მუშაობა მთელი წლის განმავლობაში.

ბაზრობების შედეგები.

(კიევი-ნიჟნი ნოვგოროდი-ბაქო).

სამ წარსულ ბაზრობას: ნიჟნი ნოვგოროდის და ბაქოსი 1922 წ. და კიევის—კონტრაქტიულს (მარტი 1923 წ.) შემდეგი ციფრები ახასიათებს. („ეკონომიური ცხოვრება... №№ 85 29 აპრილი).

ყველა ილნიშნულ ბაზრობაზე მიტანილი იყო ტვირთები: ნიჟნი ნოვგოროდისაზე 3.550.000 ფუთი, კიევისაზე 900.000 ფ. და ბაქოს ბაზრობაზე (1922 წ.) 495.000, სულ. 4.945.000 ფ. რომლისაგან 70 პროც. ზემეტი მოდის ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე.

ბაზრობაზე გამოფენილ საქონლების ხარისხის მიხედვით, თვითეული ბაზრობის ხასიათი გამოიხატება შემდეგში:

ბაქოს ბაზრობაზე მიტანილი იყო უმთავრესათ ხორბლეულობა (21, 8 პროც.), საბაკალეინო და კოლონიალური საქონლები, გამხმარი და ახალი ხილი, რკინეულება და სხვა; კიევის ბაზრობაზე უმთავრესი ადგილი უჭირავს ხორბლეულობას, შაქარს და მაკარონს, ნიჟნი ნოვგოროდზე კი საფეიქრო ნაწარმოებებს (25, 1 პროც), საფეიქრო ნედლ მასალას, საკვებ პროდუქტებს, ლითონებს და მათგან დამზადებულ ნაწარმოებებს, ბეწვეულობას, ტყავებს და ტყავის საქონლებს.

ყოველ ბაზრობაზე სჭარბობდა უმთავრესათ ბაზრობაზე ახლო მდებარე რაიონების საქონლები, ბაზრობის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან შეფარდებით. მაგალითად, ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე ჩატანილი იყო საქონლები უმთავრესად ვოლგისა—კამასი—პრიურალის რაიონიდან, და ცენტრალურ სამრეწველო რაიონიდან, განაპირა კუთხეებიდან კი (ციმბირი, უკრაინა, კავკასია, თათართა რესპუბლიკა, სპარსეთი და სხვა) შემოვიდა ბევრათ უფრო ნაკლები (მაგალ. კავკასიიდან 74.000 ფ. და სპარსეთიდან 43.000 ფუთი).

ბაქოს ბაზრობაზე საქონელი შემოვიდა უმთავრესად სპარსეთიდან (28 პროც.), ბათომის საშუალებით საზღვარგარეთელი (17 პრ.,) ჩრდილოეთ კავკასიიდან (15 პრ.), საქართველოდან და სომხეთიდან (11 პროც.), თურქესტანიდან და ბუხარიდან და სხვა.

ამ რიგათ ბაქო არის ცენტრალური ადგილი საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის რუსეთსა და სპარსეთს შორის ერთის მხრივ და ევროპასა და აღმოსავლეთს შორის მეორეს მხრივ. 138.253 ფუთ საქონლიდან, რომელიც სპარსეთიდან იყო ჩამოტანილი, 65 ათას ფუთზე მეტი ბრინჯია, 45 ათასი გამხმარი ხილი და 20 ათას ფ. მეტი ბამბა. ბათომის საშუალებით საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი იყო დაახლოვებით 85 ათასი ფუთი საქონელი, რომელშიაც შედიან 45 ათასი ფუთი საბაკალეინო და კოლონიალური საქონლები (შაქარი) და 18 ათასი ფუთი მანქანები და წარმოების იარაღები.

კიევის ბაზრობაზე პირველი ადგილი ეჭირა ადგილობრივ და ახლო მდებარე რაიონების წარმოების პროდუქციას. ბაზრობების საერთო ბრუნვა გამოიხატება შემდეგ ციფრებში (ოქროს მანეთებში): ნიჟნი ნოვგოროდის 43.152.000. კიევის 17.009.300 და ბაქოს—2.646.450. პირველ ორ ბაზრობაზე პირველი ადგილი ბრუნვის მხრივ უჭირავთ სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერაციას და ბოლოს კერძო ფირმებს (სულ საერთო ბრუნვის 6,5 პროც.), ბაქოს ბაზრობაზე კი პირიქით: ბრუნვის საერთო თანხის 2 | 3 მოდის კერძო ფირმებზე, შემდეგ მიდიან სახელმწიფო დაწესებულებები და კოოპერაცია.

მიმდინარე წლის ბაქოს ბაზრობა, რომელიც 5 ივლისს დაიხურა, უფრო კარგ პირობებში მიმდინარეობდა. 1922 წ. ბაზრობის გამოცდილება ტყუილა არ დაკარგულა.

გამოირკვა, რომ ა. | წ. 27 ივნისისათვის ბაზრობაზე შემოვიდა 1.380.000 ფუთი საქონელი ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე შარშანდელ ბაზრობაზე. ეს უკვე ამტკიცებს პირველ ყოვლისა ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას საერთოდ და, კერძოდ კი, ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას სპარსეთთან.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

დუშეთის მაზრა *)

არიან ისეთი მაზრები, სადაც ფულადი გადასახადის დღესვე შემოღება შეუძლებელია.

მაგალითისათვის ავიღებთ დუშეთის მაზრას. როგორ მოხდა ის, რომ აქ, მიუხედავად ჩვენი მტრების მიერ ნატურალურ გადასახადის წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაციისა, გასულ წელს მაინც სრულიად უმტკივნეულოდ, ორნახევარი თვის განმავლობაში შეგროვილ იქნა სასურსათო გადასახადის ასი პროცენტი? ხოლო წელს, აგერ ხუთი თვეა, რაც ენერგიული მუშაობას წარმოებს სამოქალაქო გადასახადის ასაკრეფად, მაგრამ ამ გადასახადის ნახევარიც არ არის შეგროვილი.

ეს მოხდა იმიტომ, რომ გასული წლის ხსენებულ გადასახადის გაღება გადამხდელთ შეეძლოთ იმით, რაც ჰქონდათ. მათ ჰქონდათ უფლება გაწერილი ხორბლის რაოდენობა გაეღოთ დაწესებულ ეკვივალენტით: მატყლით, ერბოთი, კარაქით, ყველით და ფულითაც.

სამოქალაქო გადასახადი კი უნდა გაიღონ მცხოვრებლებმა ფულის ნიშნებით, რაიც მას ნაკლებად მოეპოება, რის გამო იძულებულია სოფლის ნაწარმოები ჩალის ფასად ხელში ჩაუგდოს კულაკ-სპეკულიანტებს.

რომ იყოს ჩვენში საჭირო პუნქტებზე კოოპერატივები, რომლებიც შესძლებდნენ სოფლის ნაწარმოების შესყიდვას, კიდევ რაიმე აზრი ექნებოდა დღესვე ფულადი გადასახადის შემოღებას ჩვენს მაზრაში. მაგრამ ასეთი პუნქტები აქ არ არის, და იქმნება გლეხობისათვის ცუდი პირობები.

ჩვენ გვიკვირს, რომ ის ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც წელიწადზე მეტია რაც ჩამოშორდნენ დუშეთს და ვერ იცნობენ დღევანდელს აქაურს პირობებს, სხვადასხვა მაღალ ორგანოებში გამოდიან დუშეთის მაზრის სახელით და მოითხოვენ აქაც დღესვე ფულადი გადასახადის შემოღებას.

დუშეთის მაზრის გლეხობას არ გააჩნია იმდენი ფული, რომ გაისტუმროს მთლიანი გადასახადი. მის გასასტუმრებლად ის იძულებული იქნება თავისი ნაწარმოები ჩალის ფასად ჩაუგდოს ჩარჩებს და სპეკულიანტებს.

სათანადო ორგანომ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება.

დუშეთის მაზრაში მხოლოდ ფულადი გადასახადის შემოღება მიზანშეუწონელი და დაუშვებელია.

ი. კუხალაშვილი.

---

*) სადისკუსიო.

მუშათა ფაკულტეტებზე მსმენელთა მიღების შესახებ

ცირკულიარი

საქართველოს პროფკავშირთა კულტ-განათლების განყოფილება და განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა და გლეხთა შორის ტეხნიკურ განათლების გამავრცელებელი სექტორი ამით აცხადებენ საყოველთაოდ შემდეგ დებულებას მუშათა ფაკულტეტებზე მომავალ 1923—24 სასწავლო წლიდან მსმენელთა მიღების შესახებ.

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ტფილისის სახელ. პოლიტეხნიკურ ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტებზე (პირველში სწავლა ქართულ ენაზე, ხოლო მეორეში რუსულად) მიიღებიან:

ა) ის პირნი, რომელნიც მუშათა ფაკულტეტზე შესვლამდის ფიზიკურ შრომას ეწეოდენ, როგორც მუშები, სამი წლის განმავლობაში რომელსამე სამრეწველო, ან სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებაში და თავიანთი შთამომავლობით ეკუთვნიან მუშებს ან გლეხობას და ჰასაკით არიან არა ნაკლებ 18 წ.

ბ) მიწის მუშანი, რომელნიც მუშათა ფაკულტეტზე შესვლამდის სხვის დაუხმარებლად, პირადად ასრულებდენ მიწის მუშის შრომას არა ნაკლებ სამი წლის განმავლობაში და თავისი შთამომავლობით ულარიბეს გლეხებს ეკუთვნიან.

შენიშვნა 1: მიწის მუშები, რომელთაც აქვთ განზრახვა მუშფაკზედ შემოსვლისა, უნდა იყვნენ სათანადოდ გამოგზავნილნი ადგილობრივი აღმასკომების მიერ.

შენიშვნა 2: „ა“ და „ბ“ მუხლებში მოხსენებულ მუშათა და გლეხთა, რომელთა წითელ ჯარში გაწვევის გამო შეწყვიტეს მუშაობა წარმოებაში, ჯარში სამსახური ფიზიკურ მუშაობის სტაჟად ჩაეთვლებათ.

გ) ის პირნი, რომელნიც ირიცხებიან კომუნისტურ პარტიის წევრებად, ან ახალგაზრდა კომუნისტთა პარტიის აქტიურ წევრებად, და ამ ორგანიზაციებში უმუშავნიათ არა ნაკლებ ორი წლისა, და აქვთ არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი ფიზიკური მუშაობისა.

შენიშვნა 1: პარტიული სტაჟი კომუნისტურ პარტიის (ბოლშევიკების) იმ წევრთა, რომელნიც წინად ირიცხებოდნენ ახალგაზრდა კომუნისტთა პარტიაში, გამოიანგარიშება ამ უკანასკნელში შესვლის დროიდან.

შენიშვნა 2: კომუნისტურ პარტიის და ახალგაზრდა კომუნისტთა პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ სამწლიური პარტიული სტაჟი და რომელნიც ეწეოდენ ფიზიკურ შრომას, მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ბ“ მუხლში აღნიშნულ პირთა მიღების შემდეგ, კიდევ დარჩება თავისუფალი ადგილები.

2. ყველა მისაღები ადგილები განაწილებულ იქნება შემდეგნაირად: 60 პროც. პროფკავშირებს: 30 პროც. პარტიულ ორგანიზაციებს და 10 პროც. მიწის მუშებს.

შენიშვნა: ადგილების შევსების დროს, როგორც საღამოს მუშათა ფაკულტეტებზე, აგრეთვე იმ ფაკულტეტებზე, რომელნიც მოწყობილია სპეციალურ ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან, მუშათა და მიწის მომუშავეთათვის ზემოთ ნაჩვენები ადგილების რიცხვი შეიძლება შეცვლილ იქნეს; სპეციალურ ტეხნიკურ უმაღლეს სასწავლებელთან არსებულ მუშათა ფაკულტეტზე შეიძლება გადიდდეს მისაღები ადგილები მუშათათვის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთან არსებულ მუშათა ფაკულტეტზე მიწის მუშათათვის, იმ აუცილებელ პირობით კი, რომ მუშათა ადგილები მაინც სჭარბობდნენ.

3. მიღება სწარმოებს პირველ სემესტრზე: გამონაკლისის სახით და მხოლოდ ჯგუფების შევსების მიზნით, შეიძლება ჩარიცხვა მესამე და მეხუთე სემესტრებზედაც, ხოლო უფროს სემესტრებზე კი, მსმენელთა ჩარიცხვა არ ხდება.

4. მსმენელთა მიღების დრო განისაზღვრება 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე: კანდიდატები, რომლებიც წინასწარ შემოწმებულ იქნებიან სამანდატო კომისიის მიერ, უნდა გამოცხადდენ გამოცდებზე ჯგუფებში ჩარიცხვისათვის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, ხოლო სწავლა იწყება არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

5. ადგილების დანაწილება სხვა და სხვა კავშირთა და ორგანიზაციათა შორის ხდება საქ. პროფკავშირთა კულტურულ-განყოფილების მიერ არა უგვიანეს 10 ივნისისა.

6. წინასწარ მუშაობის შესასრულებლად და თვით მსმენელთა მისაღებად თითოეულ მუშათა ფაკულტეტთან 10 ივნისამდე ეწყობა სამანდატო კომისია, რომელიც საქმიანობს მუშათა ფაკულტეტის პარტიულ წევრის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან წევრებად: 1) საქართველოს პროფკავშირის კულტ-განყოფილების წარმომადგენელი; 2) ტფილისის კომიტეტის, ახალგაზრდა კომუნისტთა პარტიის და მუშათა ფაკულტეტის სექტორის თითო წარმომადგენელი და ორიც მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედის წარმომადგენელი.

სამანდატო კომისიის დადგენილებანი არ განსაჩივრდებიან.

სახალხო განათლების კომისარი
დ. კანდელაკი.
პროფტეხნ. გან. სექტ. გამგე
ბირიუკოვი.
პროფკავშ. კულტ-განყ. გამგე
ბაბაჯანოვი.

მაისის 29 1923 წ.

შრომის მეცნიერულ მოწყობის ასოციაციის კონფერენცია

საქართველოს სოც. რესპუბლიკის შრომის მეცნიერულად მოწყობის ასოციაცია, რომელიც უკვე სამი თვე მოქმედებს, დღეს 12 ივლისს იწვევს პირველ ფართე ხასიათის კონფერენციას შრომის მეცნიერულად მოწყობის საკითხების შესახებ. მიზანი ამ კონფერენციისა არის გადაშალოს სამეურნეო ორგანოების მუშაკთა, პროფმუშაკთა, საბჭოთა მოღვაწეების და სხვა დარგის მსახურთა წინაშე შრომის, წარმოების და გამგეობის შორის არსებული შინაგანი კავშირი და ერთიანობა და აგრეთვე შრ. მეცნ. მოწყობის პრობლემის მთლიანობა, მთლიანად მისი პრინციპებისა და მეთოდების. ეს არის პრინციპიალური ზოგადი მნიშვნელობა კონფერენციის. ამავე დროს ეს კონფერენცია იქნება პროლოგი მომავალ კონფერენციების, რომელთაც შემდეგში ექნებათ უფრო ვიწრო სპეციალური ხასიათი.

ამასთანავე პირველი კონფერენცია გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება იმ მხრივ, რომ მან მუშაობაში უნდა ჩააბას ყველა ჩვენი დაწესებულება და წარმოება და დაიხმაროს პროპაგანდაში, რომელსაც 3 თვეა ასოციაცია აწარმოებს, მაგრამ ჯერ ვერ აღუძრავს სათანადო აქტიური თანაგრძნობა ფართე წრეებში, უმთავრესად კი ჩვენ სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკებში. ამ პრობლემით ყველა დაინტერესებულისთვის ადვილი შესამჩნევია ის მიღწევა, რომელიც მოგვცა შრ. მეცნ. მოწყ. ასოციაციის მეთოდებმა და პრინციპებმა პრაქტიკულ ცხოვრებაში, ყველგან, სადაც კი ყოფილა ცდა შრომის ახალი პრინციპების გატარებისა, ჩვენ ვხედავთ დიდ შედეგებს. ამის დამადასტურებელია წმინდა საწარმოო რეორგანიზაცია, რომელმაც შრომის ნაყოფიერება უმაღლეს ხასიათამდე აიყვანა (ლითონის წარმოება, ტრანსპორტი, თამბაქოს ქარხნები და სხვა და სხვა), აგრეთვე ის ძირითადი ცვლილება, რომელიც მოახდინა შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა პროფ-განათლებაში (3-4 თვეში მოამზადა საზეინკლო-სამჭედლო წარმოების ინსტრუქტორები, უმაღლესი კვალიფიკაციის მანტიორები და სხვა) და მრავალი მიღწევა შრ. მეცნ. მოწყ. ორგანიზაციისა.

კაპიტალით მდიდარმა და ცოცხალი კვალიფიციური ძალებით აღჭურვილმა ამერიკამ მთელი თავისი ენერგია მოახმარა ტეხნიკურ გაუმჯობესებას, ხოლო გერმანიამ, რომელიც ცნობილია დიდი პრაქტიკული ჭკუით და უნარიანობით და რომელსაც დღეს ვერსალის ხელშეკრულების მუხრუჭები სწურავს, მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო ეკონომიკის საკითხებს.

მზგავსად ამ ქვეყნების, ჩვენს სოციალისტურ ქვეყნის წინაშე, რომელიც იშვა და იქმნება წარსულის ნანგრევებზე, სდგას უდიდესი და ურთულესი, თავისი მნიშვნელობით წარმტაცი ამოცანა საერთო რეორგანიზაციისა, მთელი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ორგანიზმის გარდაქმნისა სრულ ახალ პრინციპებზე, რომელთა ცხოვრებაში გასატარებელ საშვალებას და სრულიად დამოკიდებულ მეთოდიკას იძლევა **შრომის მეცნიერულად მოწყობის ასოციაცია**.

ეს ხანგრძლივი და მეტად საპასუხისმგებლო მუშაობაა, რომელიც არ ისაზღვრება დროით და არ იფარგლება ჩარჩოებით, რაც უნდა დიდი არ იყოს ეს ჩარჩოები ეს მუშაობა უნდა შეიჭრას ჩვენი მშენებლობის ყველა კუნჭულში, ფართე წრეების, მშრომელი მასების და მათი ხელმძღვანელების შეგნებაში. იგი მოგვცემს სრულ ახალ კულტურულ წყობას, მუშაკის ახალ ტიპს, სოციალიზმისთვის ბრძოლის ახალ მეთოდებს.

პირველი კონფერენცია, უეჭველია, შექმნის სათანადო სულიერ განწყობილებას, ინტერესს და შემოქმედო ნებისყოფას და ამით იგი შეასრულებს დასახულ მიზანს. სახალხო მეურნეობის ორგანიზმთან ყოველ ახლო მდგომ პირის მოვალეობა ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს შრომის მეცნიერულად მოწყობის ასოციაციას, მეტად დიდსა და საჭირო საქმიანობას.

არ. მ—ვი.

ენერიული დისპანსერები და მათი როლი ვენერიულ ავადმყოფობათა და პროსტიტუციასთან ბრძოლაში

წ. 6—9 ივნისს მოსკოვში მოწვე- ვენეროლოგების ყრილობაზე ყვე- მომხსენებელთა ყურადღების უმ- რეს საგანს შეადგენდენ ვენერიუ- დისპანსერები (საავადმყოფოები). რიული დისპანსერები არის უკა- ნელი დროის უდიდესი მიღწევა იპყრობს სერიოზულ ყურადღებას მარტო ჩვენში, არამედ დასავ- ევროპის ყველა ქვეყნებში. მა- პოპულიარობა როგორც ქალაქის, სოფლის მცხოვრებთა შორის, დროის განმავლობაში არის ული ნიშანი მათი მიზანშეწონი- ისა და ცხოველმყოფელობისა ქვეყნის პირობებში. ყოველ გარეშეა, რომ ვენერიულ სნეუ- თა გავრცელებას აქვს ღრმა სო- ეკონომიური ფესვები და იგი შირებულია ცხოვრების პირო- თ გამოწვეულ მოვლენებთან; ამი- ამ უბედურებასთან წარმატებით ლის საწარმოებლად საჭიროა ედოთ, სად მარხია მისი ფეს- საჭიროა ზედმიწევნით შევის- ოთ ყველა ის ფუნქციები, რო- იც ხელს უწყობენ ვენერიულ ებათა გავრცელებას და წარ- თი ბრძოლა შესაძლებელია ოდ მთელი რიგი ისეთ ღონის- თა გატარების გზით, რომელიც თულია ამ საშინელი სენის მთა- წყაროების აღმოფხვრისაკენ. მა- რადგანაც საბჭოთა მედიცინის პრინციპს შეადგენს არა მა- ენთან ბრძოლა, არამედ უმთა- დ პროფილაქტიკა, ცხადია, ვე- ლი დისპანსერები, ამბულატო- ან შედარებით, არიან ისეთი ლაქტიური დაწესებულებები, ებზედაც დაკისრებულია ამ ვრეს პრინციპის ცხოვრებაში რება, ვინაიდან ვენერიულ დის- რების ძირითად ამოცანას შეად- 1) გამორკვევა სოციალურ პა- ოგიისა, ე. ი. სნეულთა ყოფა- რების იმ სოციალურ პირობების გამორკვევა, რომელიც ხელს უწყობს სნეულების გავრცელებას; 2) სნეულების წყაროების და ხასიათის გამოცნობა და 3) ავადმყოფთა სწორი აღრიცხვა. ყველა ამ ზედმიწევნით შემოწმებულ ცნობების მიხედვით დისპანსერმა უნდა დასვას „სოციალური დიაგნოზი“ და მხოლოდ საკითხისადმი ასეთი მიდგომით, დისპანსერს შეუძლია გაერკვეს ამ რთულ მოვლენათა ლაბირინტში და მიმართოს თავისი ზომები იქითკენ, საითაც ეს საჭიროა. ასეთ დასკვნამდე ვენერიულ დისპანსერების უდიდესი როლის შესახებ ვენერიზმთან და პროსტიტუციასთან ბრძოლაში დიდი ხანია მივიდნენ საზოგადოებრივი მოღვაწენი როგორც ჩვენში, ისე დასავლეთ ევროპაში. ეს დამტკიცდა ყრილობაზე გაკეთებულ მთელ რიგ მოხსენებებით. რთულია და პასუხსაგები ვენერიულ დისპანსერების მუშაობა. დისპანსერმა უნდა უზრუნველყოს ავადმყოფი უმაღლესათ კვალიფიციურ დიაგნოსტიურ და სამკურნალო დახმარებით; იგი ატარებს სიფილისის ნაადრევი გამოცნობის და ნაადრევათ აბორტიულ მკურნალობის მეთოდებს, მაშასადამე დისპანსერის განკარგულებაში უნდა იყოს კარგად მოწყობილი ლაბორატორიები და დახელოვნებული ლაბორანტები. მაგრამ ეს კიდევ არ შეადგენს დისპანსერის უმთავრეს ამოცანას, ვინაიდან იგი ემსახურება პირველ ყოვლისა პროფილაქტიურ მიზნებს; დისპანსერი უნდა სცდილობდეს თავისი ალღოთი შეიჭრას საზოგადოების ყველა ფენებში, მჭიდროდ დაუკავშირდეს ავადმყოფებს, შევიდეს მის წრეში და თუ ავადმყოფი თანახმა იქნება, მის ოჯახშიაც. მაშასადამე დისპანსერი არ ელოდება ავადმყოფის გამოცხადებას, თვით დაეძებს მას, აგულიანებს ავადმყოფს იმკურნალოს სისტემატიურად, თავის დროზე განაახლოს მკურნალობა დასვენების შემდეგ და საერთოდ თვალყური ადევნოს ავადმყოფის ბედს და მხედველობიდან არ გაუშვას იგი.

გარდა ამისა დისპანსერებზე დაკისრებულია მოვალეობა დაათვალიეროს და გასინჯოს მუშები და მოსამსახურეები ქარხნებსა, ფაბრიკებსა საერთო საცხოვრებლებსა, თავშესაფარებსა, სასადილოებსა და სხვა ასეთ დაწესებულებებში., მაგრამ ამ გასინჯვას მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული არა იმდენად ავადმყოფთა აღმოჩენა, რამდენადაც მუშაობის პირობების გამორკვევა. ის უნდა იპყრობდეს ფართო მასების ყურადღებას, აცნობდეს მათ დისპანსერების როლს მათი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და ამგვარად ჩააბას მშრომელთა ფართო მასები ვენერიულ ავადმყოფობასთან აქტიურ ბრძოლაში' დისპანსერის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე სანიტარულ საგანმანათლებლო მუშაობაც როგორც დისპანსერების კედლებში, ისე მის გარედ. დისპანსერის ექიმმა უნდა გააცნოს დისპანსერში მოსული ავადმყოფი ავადმყოფობის ხასიათთან და იმ საშიშროებასთან, რომლითაც ის ემუქრება მის გარშემო მყოფთ. ეს მიღწეული იქნება ჯერ კიდევ დისპანსერის მისაღებ ოთახში ავადმყოფთან გამართულ სისტემატიური საუბრით., რა თქმა უნდა დისპანსერს უნდა ჰქონდეს სათანადო მოწყობილობა, მის განკარგულებაში უნდა იყოს გამოფენა-მუზეუმი და სამკითხველო პოპულიარულ და სამხატვრო ლიტერატურით, ამგვარად ამ საუბარს უნდა მიეცეს თვალსაჩინო განმარტების ხასიათი. ასეთსავე სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას უნდა ეწეოდეს ექიმი, დისპანსერის გარეშეც ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა მოსამსახურეთა შორის, ახალგაზრდობის კავშირებში საუბრობის, ლექციების, სანიტარული სასამართლოების გამართვით; რომლის დროსაც ექიმი გააცნობს ფართო მასებს ვენერიულ ავადმყოფობათა ხასიათს, პროფილაქტიკის საშვალებებს და სხვა.

დისპანსერი იღებს აქტიურ მონაწილეობას პროსტიტუციასთან ბრძოლაში, გამორკვევა-გასინჯვის დროს დისპანსერის ექიმები შეისწავლიან პროსტიტუციის წყაროებს და ფორმებს. გამოარკვევენ პროსტიტუციის როლს ვენერიულ ავადმყოფობათა გავრცელების საქმეში, აწარმოებენ ფართო საგანმანათლებლო მუშაობას ფართო წრეებში პროსტიტუციასთან ბრძოლის მხრივ, აცნობენ მათ იმ ზიანთან, რომელიც მოაქვს პროსტიტუციას და კანონმდებლობასთან სნეულების გადადებისათვის სასჯელის შესახებ.

დაბოლოს დისპანსერი აქტიურ მონაწილეობას იღებს შთამომავლობითი დ ბავშვთა სიფილისთან ბრძოლაში დედობის და ბავშვობის დამცველ ორგანოებთან ერთად, მართავს კონსულტაციებს ორსულთათვის და, აჯერებს რა მათ იმაში, რომ ყოველი ორსული-დედაკაცი უნდა დარწმუნდეს არის თუ არა ის სიფილისით დაავადებული, რადგან არავინ არ არის დაცული ამ სენისაგან, რისთვისაც საჭიროა ვასსერმანის რეაქციის გაკეთება. დისპანსერმა თვალყური უნდა ადევნოს საბავშვო სახლებს, ბაღებს, ბაგებს და თავშესაფარებს, სისტემატიურად გასინჯოს ბავშვები და მოსამსახურე პერსონალი და ინსტრუქციები მისცეს უკანასკნელებს ბავშვთა სიფილისთან ბრძოლის დარგში. ასეთ სისტემატიურ გასინჯვას ახდენენ დისპანსერის ექიმები სასკოლო ჰასაკის ბავშვთა შორის სასკოლო-სანიტარულ ექიმებთან ერთად.

ასეთივე დისპანსერული მუშაობა სწარმოებს მაზრებსა, ქალაქებსა და სოფლებში გამარტივებულ ტიპის დისპანსერების მიერ (ვენერიული პუნქტები).

ასეთია ის რთული ფუნქციები, რომელიც დაკისრებული აქვთ ვენერიულ დისპანსერებს და თავის თავად ცხადია, რომ მისი შესრულება დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებზე. პირველ ყოვლისა დისპანსერთან უნდა იყოს ე. წ. გამოსარკვევი ინსტიტუტი, ე. ი. ასეთ მკვლევარ-ექიმების კადრი, რომელსაც შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა საჭირო მომენტში, რადგან დისპანსერის ამ რთულ მუშაობის დროს ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია; ეს ექიმები უნდა იყონ უზრუნველყოფილნი მატერიალურად და მათ მუშაობაში უნდა იქნას გატარებული ტეიროლიზაციის სისტემა. მეორე—რათა უფრო შეგნებული და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ფართო მასებმა დისპანსერის მუშაობაში და რათა დისპანსერის ღონისძიებანი წარმატებით იქნას გატარებული, ფაბრიკებსა და ქარხნებში უნდა მოეწყოს ვენერიული იაჩეიკები მუშების, მუშა-ქალების და ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით; ეს იაჩეიკები უნდა იყონ, ასე ვსთქვათ, აღმასრულებელი ორგანოები დისპანსერის ღონისძიებათა ადგილებზე გატარების დროს. მშრომელთა ფართო მასების ასეთ აქტიურ მონაწილეობის დროს, ვენერიული იაჩეიკები, რომელნიც იძლევიან მუშა-ძალას და ფულით დახმარებასაც კი, შეიძლება გახდენ დისპანსერის უახლოეს თანაშემწეებათ და მნიშვნელოვნად გააადვილონ მისი მუშაობა. მესამე—დისპანსერს შეუძლია დაამყაროს ნამდვილი კავშირი მცხოვრებლებთან და გახდეს მისი მეგობარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მუშაობა პატარა რაიონით შემოიფარგლება; რამდენადაც ნაკლებია დისპანსერის მოქმედების რაიონი, მით უფრო ადვილი და ნაყოფიერია მისი მუშაობა. აქედან გამომდინარეობს ჯანმრთელობის დამცველ ორგანოების ამოცანა—დიდ ქალაქებში დისპანსერების ქსელის მოწყობა. მეოთხე—საჭიროა დისპანსერის შეთანხმებული მუშაობა რაიონის ყველა სამკურნალო დაწესებულებებთან, უკანასკნელებთან სისტემატიური თათბირების და კონსულტაციების გამართვით; ის ავადმყოფი, რომელსაც ესაჭიროება სტაციონარული დახმარება, უნდა გაიგზავნოს საავადმყოფოს ვენერიულ განყოფილებაში; ამა თუ იმ რაიონის ვენერიული ამბულატორიები უნდა იყონ დისპანსერის ფილიალური განყოფილებანი. სასურველია დისპანსერთან დაარსდეს ობსერვატიული განყოფილება საეჭვო ავადმყოფთათვის, სადაც უკანასკნელები დარჩებიან დიაგნოზის გამორკვევამდე.

მეხუთე—საჭიროა მეგობრული, მორალური და მატერიალური დახმარება მთელ რიგ ორგანიზაციების მხრივ, რომელთა წარმომადგენლები გაერთიანებული იქნებიან დისპანსერთან „სოციალურ დახმარების საბჭოს“ სახით, ვინაიდან ძალიან მცირეა ჯანმრთელობის დამცველ ორგანოების საშუალებანი, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს დისპანსერების შენახვა. რა თქმა უნდა პირველყოვლისა „სოციალ დახმარების საბჭოში“ უნდა შევიდენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან დისპანსერების წარმატებითი მუშაობით; როგორც მაგალითად: ჯანმრთელობის დამცველი ორგანოების დამზღვევ ორგანოს, წითელი ჯვრის, დედობის და ბავშვობის დამცველი ორგანოს, ქალთა განყოფილების, სახალხო განათლების და სხ. წარმომადგენლები, რომელთაც შეუძლიათ დისპანსერისათვის დახმარების გაწევა. სოციალურ დახმარების საბჭო არის დისპანსერის უახლოესი თანაშემწე მისი ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების დროს, რადგან იგი გამონახავს ყოველგვარ მატერიალურ სახსარს დისპანსერის მისაწოდებლად.

ზემოთქმულის მიხედვით იქნა გამოტანილი რეზოლიუცია ამ საკითხის გამო მოსკოვში მოწვეულ ვენეროლოგების ყრილობის მიერ; რეზოლიუციის ერთ-ერთი მუხლი ამბობს:

„სრულიად რუსეთის ვენეროლოგების ყრილობა ვენერიულ ავადმყოფთა წინააღმდეგ საბრძოლველად გადაუდებელ ამოცანად სთვლის ვენერიულ დისპანსერების ქსელის ფართო მოწყობას აღიარებს რა, რომ ისეთ ორგანოებათ, რომელნიც მოწყობილნი არიან საზოგადოებრივ პროფილაქტიურ და სამკურნალო ღონისძიებათა გასატარებლად ვენერიულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის საქმეში, არიან ვენერიული დისპანსერები.

ეპ. ბერიძე.

საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიაში

მას შემდეგ, რაც ობსერვატორიამ საჭირო თანხა მიიღო, მისი განყოფილებების მუშაობა თანდათან გაცხოველდა. მაგალითად ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში საერთოდ ობსერვატორიის მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

1) მოწყობილი იქნა პირველად დროის სისწორით მიწოდება და ამ ჟამად ობსერვატორიის ნორმალური საათი სისტემატიურად სწორდება ასტრონომიული მეთოდით.

ქალაქში დროის სისწორით საჩვენებლად შექმნილია 6 საათი, რომელნიც მოთავსებულნი იქნებიან საზოგადო სარგებლობის მიზნით დიდ ქუჩებში და სახელმწიფო დაწესებულებებში.

2) რეორგანიზაციის მოხდენის შემდეგ ჰაეროლოგიურ ქვე-განყოფილებამ განაახლა მუშაობა, რომელიც დაუქმებული იყო 1916 წლიდან, ე. ი. 7 წლის განმავლობაში და ახლო ხანში დაიწყებს თოკის მიბმულ ჰაეროსტატების აშვებას თვითმწერელი მანქანებით ჰაეროლოგიურ გამოკვლევათა საწარმოებლად.

3) აღდგენილია ყოველთვიური ბიულეტენების ქვე-განყოფილება. უკვე გადაცემულია დასაბეჭდათ ყოველთვიური ბიულეტენის 6 ნომერი 1916 წლისა და 3 ნომერი 1923 წლის, რომლებიც გამოვა ერთი თვის განმავლობაში.

4) აგრეთვე მოწესრიგებულია სინოპტიური განყოფილება, რომლის საშუალებით სინოპტიური რუქები, მეტეოროლოგიური ბიულეტენები და ევროპისა და საქართველოს ამინდის მიმოხილვები ყოველდღე იკიდება ობსერვატორიის კარებთან და სახელმწ. უნივერსიტეტის ფიზიკო-მექანიკოსის ა. მიულმანის სახელოსნოს ვიტრინაში. (ყოფ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ). საჭიროა ასეთი რუქები ქვეყნდებოდეს ადგილობრივ გაზეთებშიც.

5) რაც შეეხება ამინდის წინასწარმეტყველებას, ისიც უკვე სავსებით მოწესრიგებულია, მაგრამ ვინაიდან ტელეგრაფიული ცნობები არ მოდის წესიერად, ჯერჯერობით არ ქვეყნდება. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის დახმარებით უკვე გაყვანილია ობსერვატორიის სპეციალური ტელეგრაფიული ხაზი და ამ დღეებში ობსერვატორია უშუალოდ დაუკავშირდება ტელეგრაფს, რის შემდეგ ამინდის წინასწარმეტყველებანი 36 საათით ადრე, სისტემატიურად იქნებიან გამოქვეყნებულნი. ამასთან დამოუკიდებლათ ამინდის წი-

მუშათა ცხოვრება

უნდა იქნას გამოსწორებული

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

დამზღვევი კასსა მუშათა ორგანიზაციაა. აქ თავს იყრის ყოველდღიურად 300—400 ავადმყოფი მუშა-მოსამსახურე.

ოთახი, რომელშიაც თავს იყრის ეს უამრავი ხალხი, 80 კვადრატიულ არშინს შეიცავს, ამის ნახევარიც განყოფილებას უჭირავს.

ასეთ პატარა სადგომში მთელი დღეებს ატარებენ ავადმყოფებს. საშინელ სიცხეს, ოფლის სულს ხშირად გლახა მდგომარეობამდე მიყავს ავადმყოფი.

თვითონ დაწესებულებაც ვიწროდ არის. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მრავალჯერ მიმართა აღმასკომის პრეზიდიუმს ამის შესახებ, მაგრამ საქმის ბოლო არ უჩანს.

ასეთ მდგომარეობაში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღმასკომის მხრით. და დამზღვევ კასას უნდა მიეცეს უფრო შესაფერი ბინა.

მუშკორი ნარი.

რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მუშათა ცხოვრებიდან

7 ივლისს, დღის 12 საათზე, კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მთავარ სახელოსნოში მოხდა საერთო კრება.

კრება გახსნა ამხ. ნ. რუხაძემ. კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხენკელმა. მან მოკლეთ და გასაგებ ენაზე მშვენივრად ახსნა კოოპერაციის შინაარსი და მისი განსხვავებული მნიშვნელობა პროლეტარულ ქვეყნებში და გაატარა ის აზრი, რომ თუ კოოპერაციას აქვს მნიშვნელობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც სამეურნეო და სამრეწველო დარგები სავსებით ექსპლოატატორების ხელშია, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვეყნების მუშების და გლეხების უშუალო კავშირისთვის, რადგანაც მათ ხელშია საწარმოვო და სამეურნეო დარგებიო და მოუწოდა მუშებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კოოპერაციის განვითარებაში და გაუქარწყლონ ცრუ იმედები დარჩენილ წურბელებს, რომელთაც აღეძრათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის წყალობით გაუმაძღარი ინსტინქტები.

კრებამ მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვა და დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა წითელ კოოპერაციას და უსურვოს მას გაძლიერება.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ლ. ქავთარაძემ ტრანსპორტის მუშა კოოპერატივების ტეხნიკურ მოუწესრიგებლობაზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მუშკოპის საწყობები და დუქნები არსებობენ შორეულ ადგილებში და მათ არა აქვთ კავშირი მუშათა ცენტრალურ მოსახლეობასთან. აღნიშნულ დუქნებით სარგებლობდენ განსაკუთრებით სამმართველოს მსხვილი მოსამსახურეები, ამიტომ იძლევა წინადადებას—მუშათა უბნებში გადატანილ იქნას ეს დუქნები. ამის შემდეგ ამხ. მუშები: გაეშურნენ ნაძალადევისაკენ, სადაც მათი კოოპერატივი მშვენივრათ მოერთოთ გირლიანდებით, წითელი დროშებით და პროლეტარულ რევოლიუციის მეთაურების სურათებით.

აქ კვლავ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ჩხენკელმა და მოუწოდა ამხანაგებს, რათა მათ კოოპერატივთან დაიჭირონ მჭიდრო კავშირი, რომ ამით ბოლო მოუღონ კერძო ვაჭრობას, რომელიც მუშებს ერთიორად უძვირებს ცხოვრებას.

დასასრულ კოოპერატივი გაიხსნა და ვაჭრობა გაჩაღდა. ამხანაგების სახეზე სიამოვნების და სიხარულის ელფერი იხატებოდა და ისინი, ნავაჭრით კმაყოფილი დაბრუნდენ სახლში.

მუშა ვ. ბ—შვილი.

საქონლის სადგურის მუშები.

30 ივნისს 1923 წ. ტფილისის რკინის გზის საქონლის და სახალხო სადგურების მუშათა აუდიტორიაში 1-ლი საფეხურის სკოლის მოწაფეების მიერ გასამართლებული იქნა **დანიელ ჭონქაძის** ცნობილი ლეგენდის „**სურამის ციხის**" ტიპები. კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. სერგო ქორიძე, მდივნად გრიგოლ ცინცაძე და მსაჯულებად მუშები: ვანო ჩიხრაძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და რკ. გზ. მოსამსახურე ივსიხი ქადიეშვილი.

კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ამავე ჯგუფის მასწავლებელმა ამხ. კუკური თევდორაძემ „**ვარდუას**" დამცველად გამოვიდა მუშა კოწია ლუტიძე და „**დურმიშხანის**"—მუშა ვასილ მეგრელიშვილი, ილაპარაკეს სხვებმაც.

აღსანიშნავია სწორედ მუშების მჭერმეტყველური მსჯელობა. ამ ლეგენდის გასამართლებაზე. დამცველები მშვენივრად ახასიათებდენ დადებით და უარყოფით მხარეებს, როგორც „**დურმიშხანისა**" ისე „**ვარდუასი**". ამხ. ლუტიძე, როგორც დამცველი „ვარდუასი", სასტიკად კიცხავდა „დურმიშხანს", რადგანაც ყველა უბედურებათა მიზეზად გამოყავდა ის.

ყველა ამ კამათის შემდეგ გადიან მსაჯულები სათათბირო ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ შემოაქვთ განაჩენი, რომლის მიერ „ვარდუა" სრულებით გამართლებულია. „დურმიშხანი" ცნობილია მტყუანად.

მუშკორი ვ. ანთიძე.

ჩათახის ქარხანაში.

ქარხანაში ითვლება 133 მუშა-მოსამსახურე. აქედან ტეხნიკურ-ადმინისტრატიული პერსონალი შეადგენს 12 კაცს. მოსამსახურენი—12-ს. არა მწარმოებელი მუშა უდრის 34 კაცს, რაც შეადგენს 50 პროცენტს. ნახშირწვაზე, მადანის და ქვაკირის ამოღებაზე მუშაობენ ნარდად, მონარდესთან ვიწრო ლიანდაგზედ. კოლექტიური ხელშეკრულობა ადმინისტრაციასა და მუშებთა შორის თუმცა არ არის დადებული, მაგრამ უკვე სწარმოებს მოლაპარაკება საერთო ხელფასის შესახებ ლითონის განყოფილებასთან. საერთოდ მუშების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ქარხანასთან მუშა-მოსამსახურეთათვის მოწყობილია სასადილო, პურის საცხობი, საექიმო დახმარება, მუშათა ბინები, მუშათა აუდიტორია—კლუბი—**ამხ. ბენო კალანდაძის სახელობაზე.** შეშით, ნახშირით, ბინებით და ელექტრონის განათებით მუშა-მოსამსახურენი უზრუნველ ყოფილი არიან.

მუშკორი ი. ელ—ლი.

მუშათა ქრონიკა.

— **ბორჯომ-წაღვერში თავისი ხარჯით წასულ** მუშა-მოსამსახურეთათვის დანიშნულია სამი ექიმი, რომელთაც მიეცემათ განსაზღვრული ინსტრუქცია.

— **საკურორტო კომისიის მიერ კურორტზე გამოგზავნილ** მუშა-მოსამსახურეთ ბიულეტენით ეძლევათ დახმარება. ოჯახიანებს ორი მესამედი, მარტო ხელთ კი ნახევარი თავიანთ თვიური ჯამაგირებისა.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კომპენსაცია.

კითხვა: ეძლევათ თუ არა რაიმე კომპენსაცია (დახმარება) მუშა-მოსამსახურეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ადმინისტრაციის განკარგულებით გადაყვანილ არიან ერთ ადგილიდან მეორეში საცხოვრებელ ადგილის შეცვლით?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთ აუცილებლად ეძლევათ დახმარება შემდეგი სახით: 1) ადმინისტრაცია ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ყველა ის საგზაო ხარჯები, რომელიც გამოწვეულია ახალ ადგილზე გადასვლით; 2) მათ ეძლევათ დღიური ხელფასი მთელ მოგზაურობის დროის განმავლობაში; 3) მათ ეძლევათ აგრეთვე დამატებითი დახმარება ექვსი დღის შრომის ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა ნაკლებ თვიური გასამრჯელოს ერთ ოცდამეოთხედ ნაწილისა ყოველდღიურად; 4) ამის გარდა მათ ეძლევათ ერთდროული დახმარება მათ უწინდელ სამსახურის თვიური ჯამაგირის რაოდენობით.

კითხვა: ეძლევათ თუ არა რაიმე დახმარება აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთ იმ შემთხვევაში, როდესაც მათთან ერთად საცხოვრებელ ადგილის გამოცვლა უხდებათ მათი ოჯახების წევრებსაც?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთ ოჯახის თითოეულ წევრზე დამატებით ეძლევათ მათი თვიურ გასამრჯელოს ერთი მეოთხედი.

კითხვა: აქვს თუ არა ადმინისტრაციას უფლება მუშა-მოსამსახურე თვითნებობით, ამ უკანასკნელთან შეუთანხმობით, ჩამოიყვანოს მაღალ ადგილიდან უფრო დაბალ სამსახურში, ან და გადაიყვანოს იგი სხვა ადგილას?

პასუხი: ადმინისტრაციას ამის უფლება არა აქვს, თუ კი თვით მუშა-მოსამსახურე ამაზე არ დასთანხმდება.

კითხვა: რითი და რა წესით სწყდება დავა აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეს შორის, როდესაც ზემოხსენებული შეთანხმება მათ შორის შეუძლებელი ხდება?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეს აქვს სრული უფლება მოსთხოვოს ადმინისტრაციას სალიკვიდაციო ჯილდო და ის სტოვებს სამსახურს.

(იხ. კოდ.—შრ.—კან. მუხ. 82,-37-80).

ნასწარმეტყველებები უკვე ეძლევათ იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც ექსკურსიებს აწყობენ და ამინდის წინდაწინვე გასაგებათ მიმართავენ ობსერვატორიას.

6) ტფილისის და ბათომის შუა საჰაერო მიმოსვლის მომწყობ გერმანული ფირმის „იუნკერს"-ის თხოვნით კვირაში ორჯერ ჰაეროპლანის გაფრენის ნახ. საათით წინ, მას ეცნობება ამინდის მდგომარეობა ჰაეროპლანის მარშრუტის ხაზზე.

7) ქსელის განყოფილების აღდგენა ყველაზე ძნელია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მეტეოროლოგიური ქსელის სადგურების აღდგენასთან, რომელიც საჭიროებს დიდ ხარჯებს. ამ მიზნით სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინა ვრცელი მოხსენება მეტეოროლოგიური სადგურების შესახებ. ამასთან დამოუკიდებლივ 2 თვის განმავლობაში მოხერხდა ცხრა სადგურის აღდგენა, რომელთაგან ერთი დასაყრდნობია (ქუთაისში). ამ დღეებში ამუშავდება კიდევ რკინის გზის 5 სადგური. ამნაირად საქართველოს რესპუბლიკის 111 სადგურიდან ორი თვის წინად მუშაობდა 28 სადგური, ხოლო ამ ჟამად მათი რიცხვი გაიზარდა 42-მდის.

8) სეისმიური განყოფილებაც ამუშავდა; ამ ჟამად ყველა სეისმოგრაფები სრულიად დამაკმაყოფილებლად მუშაობს. რაც შეეხება გოლიცინის აპერიოდულ ქანქანებს, მათი ოპტიური ნაწილი სავსებით მოწესრიგებულია და ცდებმა სასურველი შედეგები მოგვცა. აკლია მხოლოდ ფოტოგრაფიული ქაღალდი, რომელიც განათლების კომისარიატმა საზღვარგარეთიდან უკვე გამოიწერა. სწარმოებს ცდები აღნიშნული ქაღალდის ადგილობრივ დასამზადებლათ.

9) სამაგნიტო განყოფილება სოფ. კარსალში: ა) ედელმანის მაგნიტოგრაფების ყველა ხელსაწყო გასუფთავებულია, (ორ მათგანს გაუკეთდა ახალი მავთული), რომლებიც შესწორებულია მერიდიანზე და მათი მგრძნობელობაც გამორკვეულია. ბ) ედელმანის მაგნიტომეტრები, რომელნიც სისწორით არ მუშაობდენ, გაწმენდილია და დაყოფილია გრადუსებათ. ამგვარად საავიაციო სარდაფი სრულებით მოწესრიგებულია და მისი ჩვენებანი და ჩანაწერნი სავსებით სარწმუნონი არიან. გ) რაც შეეხება აბსოლიუტურ დაკავშირებათა პავილიონს, მისი ხელსაწყოები ისე დიდხანს იყო მოუვლელად, რომ საჭირო გახდა მათი სრულებით დაშლა და საფუძვლიანი შეკეთება; აღნიშნული ხელსაწყოების ადგილზე დადგმა და გრადუსებათ დაყოფა მოხდება თვით სადგომის შეკეთების შემდეგ, რომელიც დაზიანებულია.

10) სამეცნიერო მუშაობა: ა) სინოპტიური განყოფილება ფიზიკოსის ბერშერტის ხელმძღვანელობით იმუშავებს ადგილობრივ ნიშნებს ამინდის მოკლე ხნით (24 საათით) საწინასწარმეტყველებლად. ეს მუშაობა დამთავრდება და გამოქვეყნდება მომავალი თვის შუა რიცხვებში. ბ) დირექტორი პროფ. დიდებულიძე იმუშავებს მასალას ამინდის საწინასწარმეტყველებლათ პერიოდებით და ამინდისავე მიმოსახილველათ სეზონობით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გამოსარკვევათ. გ) პროფ. დიდებულიძე აწყობს აგრეთვე სამეცნიერო, ფიზიკურ და გეოგრაფიულ ექსპედიციას ყაზბეგის მთაზე. ეს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია არის ყაზბეგზე. ამ ჟამად ექსპედიციის გეოგრაფიული ნაწილის მოწყობა თითქმის დამთავრებულია და ნახევრად შემუშავებულია სამეცნიერო ნაწილი, ექსპედიცია ყაზბეგზე გაემგზავრება ივლისის შუა რიცხვებში, ან აგვისტოს დამდეგს.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

პროფესიონალურ ცხოვრების კორესპონდენტები.

კულტ-განყოფილებამ გადასწყვიტა მუშათა კორესპონდენტებთან ერთად შექმნას პროფესიონალური ცხოვრების კორესპონდენტები, რომელნიც ემსახურებიან განსაკუთრებით პროფცხოვრებას.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

ა. ფალავას სტუდია.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობამ შესაფერისი მოხსენებით მიმართა სათანადო ორგანოებს, რათა ა. ფალავას სტუდია გადაკეთდეს სახელმწიფო სტუდიათ.

ხელოვნების მუშაკთა კლუბი.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამდივნომ აუცილებელ საჭიროებად დაინახა ტფილისში ხელოვნების მუშაკთა კლუბის გახსნა.

პროფლიტერატურა.

ა. კ. პროფბიუროს მიერ გამოცემულმა გადმოთარგმნილმა ლიტერატურამ დიდი ინტერესი გამოიწვია კავშირის წევრებს შორის, კულტ-განყოფილება იწერს ამ წიგნებს და ავრცელებს წევრებს შორის.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში.

კომუნ. მეურნ. კავშირის მესამე ყრილობა.

საბოლოოდ გადასწყდა კომუნალურ მეურნეობის კავშირის მესამე ყრილობა მოწვეულ იქნას სექტემბრის 10-ის.

ელექტრიკების განცხადება

პროფსაბჭოს და სახ. კომისართა საბჭოს ელექტრონულ სადგურის მუშებმა განცხადებით მიმართეს კავშირს, რათა საბჭოთა მუშაკების კავშირიდან გადაირიცხონ წევრებად კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

თელავის კომუნ.-მეურნეობის ადგილკომში.

რას აკეთებს ადგილკომი.

თელავის კომუნალურ მეურნეობის ადგილკომი მჭიდრო კავშირით მუშაობს სამაზრო პროფბიუროსთან ერთად. ადგილკომმა კარგად მოაწესრიგა სატარიფო-ეკონომიური საკითხები. არ ყოფილა გადადგმული ისეთი ნაბიჯი, რომელიც არ მოეწონებინოს და არ დაედასტუროს პროფბიუროს.

კულტ-მუშაობა.

ადგილკომი აგრეთვე ცდილობს კულტურულადაც აამაღლოს მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრება და ამ მიზნით იწერს ჟურნალ-გაზეთებს. დაარსა სამკითხველო და აიყვანა ერთი ღარიბი მოწაფე თავის ხარჯზე.

წითელ ჯარში

არტილერიაში

კულტ-შეფობა სოფლებზე. ქართულ მსროლელ დივიზიის საარტილერიო დივიზიონმა და სააგარაკოდ მდგარ ბატარეებმა მიიღეს კულტ-შეფობა სამ სოფელზე: მარტყოფსა, სართიჭალასა და ნორიოზე. მისვლისთანავე დაიწყეს აქტიური მუშაობა: აწოდებენ წიგნებს, გაზეთებს, აწყობენ მიტინგებს, რომლებზედაც უხსნიან მშრომელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის საფუძველს. კვირას, 8 ივლისს საარტილერიო დივიზიონის დრამატიული წრის მიერ სოფ. მარტყოფში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა პიესა: „სულის მამა"; იყო მისასალმებელი სიტყვები, სიმღერები და სხვები. ეს პირველი საღამო იყო და მომავალში ასეთებს ბევრს უნდა ველოდეთ.

კამპანია დეზერტირობის წინააღმდეგ. კამპანია დეზერტირობის წინააღმდეგ ტარდება პოლიტ-საათებზე, ხოლო მალე კი დაიდგმება შესაფერი ინსცენიროვკა და მოხდება დეზერტირის გასამართლება.

კვირაობა. იქმნა მოწყობილი კვირეული, სადაც მიიღეს მონაწილეობა როგორც წითელ-არმიელებმა, ისე უფროს შემადგენლობამაც. დაასუფთავეს მიდამოები და მოაწესრიგეს აბანო.

საღამოს მოწყობა. გაიმართა დრამატიული წრის მიერ საღამო, წარმოდგენილი იქნა: „სულის მამა". იყო სიმღერები. განსაკუთრებით კარგი იყო მესტვირული. დღიურ ჭირ-ვარამზე. წაკითხულ იქნა წითელ-არმიელების მიერ საკუთარი ლექსები. საერთოდ საღამო კარგად ჩატარდა.

კლუბის მუშაობა. კლუბმა თავისი მუშაობა გააჩაღა. არსებობს შემდეგი წრეები; დრამატიული, ლიტერატურული, რომელიც უშვებს კედლის გაზეთს, მომღერალთა და სასპორტო წრე. ყველა ეს წრეები აქტიურ მუშაობას ეწევიან. არსებობს აგრეთვე პოლიტ-წრე, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება. მუშაობს პარტ-წრეც. მეთაურ შემადგენლობასთან პოლიტიკური მეცადინეობა არ დაწყებულა.

არჩეულია ბიურო კოლექტივი არტილერიის მასშტაბით, რომელიც სათანადოთ ხელმძღვანელობს ნაწილში პარტ მუშაობას.

სამკითხველო. ყველა ბატარეებში არსებობს სამკითხველოები, რომლებიც თავის დროზე აწვდიან წიგნებსა და გაზეთებს წითელ-არმიელებს.

არსებობს აგრეთვე დივიზიონის სამკითხველო და არტისტული სკოლაც.

ნაგრი.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** საქ. რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილას მოეწყო ჯარისკაცებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, აღნიშნულ პუნქტების მასწავლებლების დასაკმაყოფილებლათ 9,000,000 მანეთის გაღება იკისრა განათლების კომისარიატმა.

— **განათლების განყოფილებათა გამგეების ყრილობა მოსკოვში.** 20 ენკენისთვეს ქ. მოსკოვში მოხდება რუსეთის განათლების განყოფილებების გამგეების ყრილობა ფედერატიულ რესპუბლიკების განათლების კომისრების თანადასწრებით.

ქალაქის აღმასკომში

— **წყალსადენის გაყვანა.** ტფილისის ქ. აღმასკომის კომუნალური განყოფილება ამ დღეებში შეუდგება ოკრაინის ქუჩაზე წყალსადენის გაყვანას.

— **ინვალიდების შუამდგომლობა.** რკინის გზის და სახ. უზრუნველყოფის კომისარიატის პენსიონერებმა და ინვალიდებმა შუამდგომლობით მიმართეს აღმასკომს წყლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **ტყის გაშენება მამადავითის მთაზე.** გადაწყვეტილია მამადავითის მთაზე ტყის გაშენება, ამ მიზნით უკვე შეძენილია საჭირო თესლეულობა და ნერგები.

— **ამხ. ლენინის ძეგლი.** ზემელის აფთიაქის პირდაპირ დუქნების ასაღებათ სწარმოებს დაჩქარებული მუშაობა, სადაც გაშენებული იქნება ბაღი; აღნიშნულ ბაღში დაიდგმება ამხ. ვ. ლენინის ბრინჯაოს ახალი ძეგლი, ხოლო ამ ჟამად ოლღას ქუჩაზე არსებული ძეგლი აღებული იქნება.

რკინის გზაზე.

— **საპაიო მანეთი.** „ზაკტპოს" გამგეობის დადგენილებით მიმდინარე თვისათვის საპაიო მანეთი განისაზღვრება 2,300 ათას მან.

— **ზაკტპოს საწევრო წიგნაკების სხვაზე გადაცემის აკრძალვა.** ზაკტპოს საწევრო წიგნაკის განათხოვრება, ან სხვაზე გადაცემა, აღნიშნულ კოოპერაციის გამგეობის დადგენილებით, სასტიკათ აკრძალულია.

— **დახმარება პენსიონერებს.** „ზაკტპომ" მიიღო რა მხედველობაში მატერიალური მდგომარეობა პენსიაზე ჩარიცხულ რკინის გზის ყოფ. მუშა-მოსამსახურეებისა, დაადგინა აღნიშნულნი პენსიონერები განთავისუფლებულნი იქნენ საპაიო და საწევრო გადასახადებისაგან.

სხვა და სხვა.

— **სომხური გაზეთის „მარტაკოჩის" გამომცემლობა.** სომხურ გაზეთმა „მარტაკოჩმა" დაიწყო წიგნების გამოცემა სომხურ ენაზე. უკვე გამოვიდა კოვალენკოს „პოლიტიკური განათლება".

— **სანიტარულ განათლების სახლი.** სანიტარულ-განათლების სახლის მოწყობა დასრულდება მიმდინარე თვის ბოლოს. დაახლოვებით 1 აგვისტოს მოხდება აღნიშნულ სახლის გახსნა.

— **საქალაქო აქტების რაოდენობა.** ივნისის თვის განმავლობაში საქალაქო აქტების ჩამწერ განყოფილებამ აღრიცხა 483 დაბადების და 248 სიკვდილიანობის შემთხვევა.

— **აგარაკ კოჯორის სამმართველო.** ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კოჯორის სამმართველოს შტატი 6 კაცის შემადგენლობით, აგრეთვე ყოფილ სამეულის კანცელარია შეუერთდა აღმასკომისას.

— **საექიმო დახმარება.** დამზღვევი კასის საექიმო განყოფილებამ მოაწყო საექიმო დახმარების საქმე საქართველოს სამხედრო გზაზე მომუშავე მუშებისათვის. აღნიშნული მიზნით სოფ. გუდაურში გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— **ქუჩის საათები.** სამსახურის დროის წესიერათ წარმოებისათვის საქ. ობსერვატორიამ შეიძინა 6 საათი, რომლებიც დაკიდებულნი იქნებიან დიდ ქუჩებში საერთო სარგებლობის მიზნით.

— **სეირნობა.** ქ. გორის და მის მიდამოების აღმდგენელ მთავარი კომიტეტი თავის ფონდის გასაძლიერებლად, ორშაბათს ა. | წ. ივლისის 16-ს „ვეჩერნიე ზორის" ბაღში მართავს დიდ სეირნობას თბილისის საუკეთესო მსახიობთა ძალების მონაწილეობით. სეირნობაზე გამართული იქნება ლოტარეა-ალლეგრი ძვირფას ნივთებით, კინემატოგრაფი, კაბარე დილამდე და სხვა..

შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 10 ივლისს გამოცხადდა 587 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 119 კაცი, სამუშაოზე გაიგზავნა 59.

პროვინციაში

სოფელი ბულიეთი (გურია).

ამ სოფელში ჯერ კიდევ 1920 წელს დაარსდა მოწინავე გლეხების ინიციატივით კულტურულ მეურნეობის გამგეობა. მათი უმთავრესი მიზანი იყო სოფლებში მდებარე საუკეთესო მიწების კერძო მესაკუთრეებიდან შეძენა, რომელიც მათთვის ზედ-მეტ ნორმას შეადგენდა, და სურდათ ამ მიწების საერთო შრომით დამუშავება; შემოსავლით უნდა აშენებულიყო სამეურნეო შკოლა, თეატრი, კლუბი და სხვა ასეთი.

როდესაც სამაზრო მთავრობას წარუდგინეს ასეთი გეგმა, იქ ამან დიდი აურ-ზაური გამოიწვია და დამთავრდა მით, რომ მთავრობამ დაადგინა: „ვინაიდგან ასეთი აზრი ჯერ არ დაბადებულა არსად და მას სუნი უდის ბოლშევიზმის, ამიტომ გამოეცხადოს უარიო". ასეთმა უარმა, რა თქმა უნდა, უფრო გაათამამა სოფლის კულაკები და აზნაურობა.

მაგრამ გურულ ხალხს სჩვევია ჯიუტობა და აქაც არ გასტყდნენ. თუმცა მთავრობიდან არავითარ დახმარებას არ მოელოდნენ, მაინც ერთხელ დაწყებულ საქმეს თავი არ დაანებეს. სწორეთ ამ დროს მოხდა მენშევიკების გარდაცვალება და ძალაუფლება დაიჭირეს საბჭოებმა. მენშევიკები სულ განაბულნი იცქირებოდნენ შავი ზღვისკენ, როდის მოადგება რამიშვილი ინგლისის ჯარითო, მაგრამ მათში უფრო შორს მჭვრეტელობა გამოიჩინა ერთმა წევრმა, პლატონ გიორგის ძე ანთიძემ და გულწრფელათ მიმართა კომპარტიას, რათა გაგვეგრძო ეს დაწყებული საქმე.

ჩვენც შეერთებული ძალღონით შეუდექით ამ საქმეს. ცენტრის მიერ დამტკიცებულ იქნა კულტურულ მეურნეობის გამგეობა. აქედან იწყება ფაქტიური მუშაობა. მემამულეებს ჩამოერთვა მიწები, ზოგმა კი თავის სურვილით შესწირა; დაისვა დამუშავების საკითხი, ერთხმად იქმნა მიღებული მიწების დამუშავება კომუნალურად. ერთ დღეს მართლაც არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა ჩვენი სოფელი. შეიარაღებული თოხით და ბარით, სამასამდე ქალი და კაცი შეუდგა საერთო მიწების დამუშავებას. გაოცებული რჩება კაცი, როდესაც ამ სურათს უცქერის. წინ წითელი დროშა ფრიალებს, რომელიც ერთ თეთრწვერა მოხუცს უკავია და მხნეთ განაგრძობს გურულ „ნადურს", დანარჩენები კი თავგამოდებით ბანს აძლევენ. მიდის გაცხოველებული მუშაობა. საღამოს იმართება ცეკვა-თამაში, საერთო მხიარულებას საზღვარი არა აქვს.

მესამე წელია, რაც სოფ. ბულიეთის გლეხობა აწარმოებს ასეთ კომუნალურ მუშაობას, ბოლოს საკითხად დაისვა მიწების შეღობვა ეკლიანი მავთულით, რის შესახებ ვთხოვეთ საქართველოს „ცაკს", მან გაგვიწია დიდი დახმარება და მოგვცა სრულიად უფასოდ 45 ფ., საუკეთესო ხარისხის მავთული, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ და სოფლის ნაძირალების საბედნიეროთ, გასულ წელს მდინარე გობაზოულმა თითქმის 80 პროც. გაანადგურა ეს ხალხის მიერ დამუშავებული საუკეთესო მიწები, რამაც შეაჩერა მის შეღობვა. მიუხედავათ სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალისა, ხალხმა მაინც არ გაიტეხა გული.

დიდი მეცადინეობით შეძენილი იქნა სამთვალიანი საფქვავი ქარხანა. შეკეთების შემდეგ ის გადააკეთეს ოთხ თვალათ, და დიდ დახმარებას უწევს გლეხობას. ნახევარ ფასში უფქვავს სხვა წისქვილებთან შედარებით. ქარხანას ჰყავს მიჩენილი ხალხიდან ამორჩეული პირები მეთვალყურეთ. ეს საფქვავი ქარხანა აკავშირებს ხუთ სოფელს. დიდი დახმარება გაგვიწია ოზურგეთის სამაზრო ხელისუფლებამ ამ ქარხნის შეძენაში, სესხის სახით მოგვცა სამასი ფუთი სიმინდი, რისთვისაც ხალხი დიდათ მადლიერია. დღეს დამზადებულია ხის მასალა ბლომათ, სამკითხველოს და კლუბის ასაგებათ და სკოლის შენობის გასადიდებლათ. მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღიძრა დახმარებისათვის, რომ გაგვიხსნას სამეურნეო სკოლა, რისთვისაც ხალხს შეძენილი აქვს დაახლოვებით ოც ქცევამდი საუკეთესო მიწები და შენობებისთვის ხის მასალა.

განზრახულია აგრეთვე კრამიტის ქარხნის გახსნა, რისთვისაც მოწვეულია მცოდნე პირები მიწების შესამოწმებლად; ამის შედეგი იქნება სახალხო ტყეების განადგურების შეჩერება. ყველაზედ უფრო შესანიშნავი და საგულისხმოა ის, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მუშაობა შესრულებულია საერთო შრომით. უნდა აღინიშნოს უკანასკნელი საყურადღებო მუშაობაც.

ყოფილი ეკლესიის შენობა არა ჩვეულებრივია, გეგონებათ ეს დიდი შენობა ეკლესიისთვის კი არა, განსაკუთრებით თეატრისთვის არის აშენებულიო. როცა ბალკონი (გალერეია) გაუკეთდება, შიგ მოთავსდება ექვსას კაცამდე. გასულ თვეში შეუდექით თეატრათ გადაკეთებას. უპირველესად გაიწმინდა ეზო ქვებისაგან, თეატრში გაკეთდა სცენა და სკამები, მხოლოდ მხატვრობა აკლია.

გასულ კვირას, 1 ივლისს, იქნა დადგმული საზეიმო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნა „არსენა", რომელიც სოფლის კვალობაზე საუკეთესოდ ჩატარდა. წარმოითქვა თეატრის და სარწმუნოების შესახებ სიტყვა, რომელმაც ხალხში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. წარმოდგენას დაახლოვებით დაესწრო 400 კაცამდე. ყველა დიდად კმაყოფილი დარჩნენ.

გიორგი ჩონტლაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში: მე, მღვდელი ქვაშვეთის ეკლესიის, ქრისტესია თხინვალელი ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ რევოლიუციის მსვლელობამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჩემს მსოფლ-მხედველობაში და მიმიყვანა იმ დასკვნამდი, რომ ჩემი ამდენი ხნის სამსახური არ იყო მშრომელთა კლასისათვის საკეთილდღეო. დღეის რიცხვიდან მე ვსწყვეტ ყოველივე კავშირს სამღვდელოებასთან და მსურს გავხდე სრული მოქალაქე. მთელი ჩემის ენერგიით ვეცდები მომავალში მაინც მშრომელთა სასარგებლოდ ვიმუშაო.

ქრისტესია თხინვალელი.

ქ. თბილისი.
1923 წ. 10 ივლისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ს. კ. პ. ტფ. კ. მე-4 რაიკომი აცხადებს, რომ საყვედური, რომელიც გამოეცხადა № 19 უჯრედის მდივანს ზირაქაშვილს თვიურ ანგარიშების თავის დროზე წარმოუდგენლობის გამო, მოხსნილია, რადგან ანგარიშების წარმოდგენის დაგვიანება გამოწვეული იყო საპატიო მიზეზებით.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

— ს. კ. პ. ტ. კ. მე-4 რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამ-გებს, რომელნიც გაწვეულნი არიან ს. კ. პ. ტ. კ. მიერ ახალგაზრდობის კომკავშირის მე-4 რაიკომის მდგომარეობის გამოსარკვევათ, გამოცხადდენ, დღეს 2 საათზე მე-4 რაიკომის [illegible] დარბაზში. (ს. კ. პ. ტ. კ. შენობა.): რახმანი, კოსტანიანი, ადამიანი, მაქსიმოვი (უჯრედი „ტოლე"), საკიან აშოტ, ფიალკოვსკი, დანდუროვი, ლობჟანიძე, [illegible], ლევიჩი, კარაგულიანი, სეროპიანი, ოკუჯავა კ., ავაქოვი, არნაუტოვი, ელისაბედაშვილი, ელბაქიძე, თუშიშვილი, რუხაძე, ვაჩაძე, გურგენიძე, პოლისი, ავეტიკოვი და მაშკევიჩი ზაქარი.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

— ს. კ. პ. ტ. კ. მესამე რაიკომი აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიონის უპარტიო მუშათა ფართო კონფერენცია.

მდივანი ვართაპეტიანი.

განცხადებები

გულმოკლული მშობლები ვარდენ მაქს. და მართა ჩხაიძეები, მათი პატარა შვილებით ლიზიკო და მაქსიმელით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, პირველთათვის საყვარელი ქალიშვილის, ხოლო მეორეთათვის დის, პატარა

სოფიოს (ჭუკუნას)

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 9 ივლისს, დილის 9 საათზე გარდაცვალებას. მიცვალებულს სადგ. სუფსიდგან წაასვენებენ 10 ივლისს დილ. 11 საათ. მიქელ-გაბრიელის საზოგადოების სოფ. ხრიალეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე. დაკრძალავენ 10 ივლისს, დღის 12 საათზე. 945—1—1

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს მსურველებს ჯ. ს. კ. თბილისის საავადმყოფოებისათვის ყოველდღიურათ

ა. | წ. 15 ივლისიდან 31 ივლისამდი

25—30 ფუთი პურის გამოცხობაზე წერილობითი საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ

ა. | წ. 14 ივლისს დღის თორმეტ საათზე

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის **სამეურნეო განყოფილებაში (ემანუელოვის ქ. № 12)**

განცხადებაში აღნიშნული უნდა იქნეს თუ რამდენი გირვანქა ზედმეტი გამომცხვარი პური იქნება სხვა და სხვა ხარისხის ერთ ფუთ ფქვილზე, იქვე შეიძლება იჯარის პირობების გაგება.

აღნიშნული იჯარის გაცემის დროს ჯანმრთელობის კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნული პირობებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, ჯანმრთელობის კომისარიატის ინტერესების მიხედვით. კრ. 482 1—1

თბილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება განმეორებით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ:

1) არავითარი ძველი ნახმარი ტანსაცმელი არ შეიძლება იყოს გატანილი ბაზარზე გასასყიდლათ, თუ სათანადო დეზინფექციაში არ იქმნება გატარებული, რის დასამტკიცებლად, ყოველივე გასასყიდ ტანსაცმელზე უნდა იქმნეს დასმული სადეზინფექციო კამერის ბეჭედი, ან ქალაქის, ან სამხედრო უწყების.

2) ყველა სახლების დ სავაჭრო დაწესებულებების პატრონთ ან გამგეთ ევალებათ ამის გამოცხადებიდან 2 კვირის განმავლობაში შეიძინონ სანიტარული რვეულები (თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში ველიამინოვის ქუჩა № 3).

ამ ორივე ვალდებულების დარღვევისათვის დამნაშავენი იქნებიან სათანადო პასუხისგებაში მიცემული.

სანიტარული სამეულის წევრები: თაქთაქიშვილი და ეფ. ვაჩაძე.

კრ. 499—1—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—6

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა საჭიროებისათვის

საჭიროა გეოდეზიური ინსტრუმენტები:

1. თეოდოლიტი წ. — — 1 ცალი
2. ნიველირი — — — 2 ცალი
3. საზომი რტყელა (ლენტი ფოლადის სარჭეებით) — 2 ცალი
4. სანიველირო ლარტყა — 9 ცალი
5. კუთხსაზომი (გონიომეტრი) 2 ცალი

წინადადება მოწოდების შესახებ წარმოდგენილ იქნეს არა უგვიანეს 12 ივლისისა ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა უფროსის სახელზე. ტფილისის აღმასკომის შენობა, ველიამინოვის ქუჩა № 3. 2—2

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—23

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] სწარმოებს **ექ. სიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—18)

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლ

(მუხრანის ქ. № 4).

იწვევს მემკვიდრეებს ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოცხადებიდან გარდაცვალებული ქ. თბილისში, 5 მარტს 1895 წ. მოქალაქე ოვანეს იგივე ონან პრაკოფის ძე სარქისიანცისას, რათა მათ წარმოადგინონ ქვემდებარისამებრ თავიანთი მიწათკერძობის უფლებები გარდაცვალებულის ქონებაზედ. 943—1—1

დაიკარგა შრომის ბირჟის უმუშევრის ბილეთი ოლიმპიადა წულეისკირის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 944—1—1

„ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.